პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. სტრიქონობით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. სტრიქონებით.

№ 18 (870) სამშაბათი, 22 იანვარი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით.
№ 18 (870)

დღიური

— კომუნისტების წინადადებით, პროფკავშირთა ბრიუსელის გაერთიანებამ მიმართა ბელგიის პროფკავშირებს გამოაცხადონ საერთო გაფიცვა პარლამენტში რვა საათის სამუშაო დღის გაუქმების საკითხის განხილვის დროს.

— ნორვეგიაში დაიწყო [illegible] გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს [illegible].

— უკანასკნელი მიწის-ძვრით დაინგრა იაპონიაში 22 ქალაქი და დაინგრა 5 ათასი სახლი.

— ესპანეთის ციხეებში იმყოფება [illegible] რევოლიუციონერი.

დღეს, 22 იანვარს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

საქარ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი ა. ხახაშვილი.

9 იანვრის ამბების 19 წლის თავზე

დღეს, 22 იანვარს 9 იანვრის დღის აღსანიშნავად გაიმართება საღამოები შემდეგი პროგრამით:

1. მოხსენება 9 იანვრის ამბების შესახებ.

2. რევოლიუციონური ხასიათის წარმოდგენები და კონცერტები შემდეგ კლუბებში:

1. ცენტრალურ პარტიულ კლუბში (კირკის ქუჩა, მთლიანი მუშათა კოოპერატივის შენობაში), საღამოს 8 ს.—მომხსენებელია ამხ. მიხა ცხაკაია.

2. მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღამოს 8 საათზე,—მომხსენებელია ამხ. ორახელაშვილი.

3. პროფკავშირთა კლუბში, საღამოს 8 ს.—მომხსენებელია ამხ. ცინცაძე.

4. ნაძალადევის კლუბში, საღამოს 6 ს.—მომხ. ამხ. დოლობერიძე.

5. [illegible] კლუბში, საღამოს 7 საათზე,—მომხსენებელია ამხ. ფ. მახარაძე.

6. მებეჭდავების კლუბში. 7 საათზე,—მომხსენებელია ამხ. რუბენი.

7. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში, 7 საათზე,—მომხსენებელია ამხ. თოროშელიძე.

8. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, საღამოს 6 საათზე,—მომხსენებელია ამხ. [illegible].

9. ნარიმანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 7 საათზე,—მომხსენებელია ამხ. რასულ ზადე.

10. მეტყავეების კლუბში (სიონის ქ. № 32), 7 საათზე—მომხსენებელია ამხ. ს. მარკარიანი.

11. ავლაბრის მუშათა კლუბში, 6 ს.—მომხსენებელია ამხ. კახიანი.

12. ტყავეულობის მთ. გამ. სამმართველოს კლუბში (ვორონცოვის ქ. № 98), 7 საათზე,—მომხსენებელია ამხ. ალავერდიანი.

13. ქალაქ. საავადმყოფოს კლუბში, საღამოს 6 საათზე,—მომხსენებელია ამხ. [illegible].

14. სამთომადნო მუშების კლუბში (ს. მ. უ ს. სათბობი მასალის განყოფილებაში), 6 საათზე,—მომხსენებელია ამხ. ტალახაძე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

„სისხლიანი კვირა"

(1905 წლის 9 (22) იანვარი)

> Был ужас... но паники не было...*)
>
> მ. გორკის წერილიდან.

ხალხის ან სახელმწიფოს ცხოვრებაში მოხდება ხოლმე, თუმცა ძლიერ იშვიათათ, ისეთი ამბავი, რომელიც ავლებს წაუშლელ ხაზს ორ დიდ ეპოქას შორის ანუ რომელიც უდებს დასაწყისს ახალ ხანას. ასეთ დიდ და მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს 1905 წლის ცხრა იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბავი, რომლითაც ფაქტიურად დაიწყო რუსეთის დიდი რევოლიუცია.

უკვე რამდენიმე წლის წინით ამ ამბის მოხდენამდე მაშინდელ რუსეთში წარმოიშვა და შემდეგ თანდათან და საკმარისი სიჩქარით ვითარდებოდა და იზრდებოდა მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა. ხდებოდა მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციები, ალაგ-ალაგ შეტაკებები და სისხლის ღვრაც, ერთი მხრით, მუშებსა და გლეხებსა, და, მეორე მხრით, პოლიციასა და ჯარებს შორის, მაგრამ რევოლიუცია, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ იყო. რომ ვთქვათ, რომ 9 იანვარს პეტერბურგის რევოლიუციონური პროლეტარიატი შეებრძოლა იარაღით ხელში თვითმპყრობელობასო,— ეს ტყუილი იქნება; პირიქით, პეტერბურგის მუშები, რომლებიც ამ დღეს გამოვიდნენ ქუჩებზე და რომლების სისხლი ამავე დღეს იქ დაიღვარა, ყველაზე ნაკლებ იყვნენ განწყობილი რევოლიუციონურათ. ისინი მიდიოდნენ იმასთან, ვისი სახელი ყველას პირზე ეკერა, სრული სიმშვიდით და ღრმა რწმენით, რომ იგი, ვისთანაც ისინი მიდიოდნენ, მათ, როგორც ლმობიერი მამა, მიიღებს, მოუსმენს და დააკმაყოფილებს. ისინი მიდიოდნენ ხატებით და მისი სურათებით, და ამასთანავე მათ წინ მიუძღოდათ „მართლმადიდებელი" ეკლესიის ხუცესი გაპონი. მიდიოდნენ ისინი თავშეუკავებლათ, ყველანი, მამაკაცები და დედაკაცები, ბავშვები და მოხუცები. იმათ მობეზრდათ ღატაკი და ბრძოლა თავიანთ უშუალო მყვლეფელებთან და მჩაგვრელებთან, ფაბრიკანტ მექარხნეებთან და პოლიცია ჟანდარმებთან; ისინი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მან (**царь батюшка**) არ იცის მათი გაჭირვება, რომ მას უმალავენ მათ ტანჯვას და, აი, აღფრთოვანებული იმედით, ისინი მშიერ-მწყურვალნი, ჩამომხმარნი და ჩაყვითლებულნი, დაგლეჯილ-დაკონკილ ტანსაცმელში გახვეულნი, გამურულნი ქვარტლით და ტალახით მიეშურებოდნენ ყველა მხრიდან დანიშნულ ადგილას საზამთრო სასახლის წინ მოედანზე იმ იმედით, რომ იქ ჰპოვებდნენ თბილ მამაშვილურ დახვედრას. მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! ეს რაა?

იმათ გზას უღობავენ: მაგრამ ეს არაფერი: იმათ ხვდებიან, იმათ უმასპინძლდებიან ცეცხლითა და მახვილით, ტყვიებით და ხმლებით! მიმავალნი ხატებით და მისი სურათებით განგმირულნი ტყვიებით ეცემიან ქუჩაზე. ასეთი იყო მიღება შვილების „მამის" მხრით, ასეთი იყო „მამის" პასუხი. ყველაფერი ეს დღეს ჩვენთვის სრულიად გაუგებრად გვეჩვენება. განა შესაძლებელი იყო ასეთი გულუბრყვილობა პეტერბურგის მუშების მხრით?—იკითხავს ალბად ბევრი. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასე იყო ამ ოციოდე წლის წინეთ.

საიდან შეიძლებოდა რევოლიუციის მოხდენა და მეფობის დამხობა, როცა უძლიერეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს რუსეთის პროლეტარიატისას — პეტერბურგის მუშებს—ჯერ კიდევ „სისხლიანი" ნიკოლოზის იმედი ჰქონდათ, როცა ისინი ჯერ კიდევ ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ სისხლისმსმელი მეფე მათ დახმარებას გაუწევს კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ! შეხედულების ასეთი ცრუმორწმუნეობის დასანგრევათ საჭირო იყო ჯერ კიდევ ხანგრძლივი ბრძოლა, საჭირო იყო ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობა, საჭირო იყო თვით მუშების დაკვირვებანი და გამოცდილებანი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ესე იგი საჭირო იყო ღრმა ცვლილების მოხდენა მუშათა კლასის სულიერ განწყობილებაში, რომ მათ თვალები აეხილათ. ერთი სიტყვით საჭირო იყო იმათი გამოფხიზლება, გადგიძება, გათვითცნობიერება. უამისოდ რევოლიუციის მოხდენა წარმოუდგენელი იყო, რადგანაც რევოლიუციას ახდენს მასა, და განსაკუთრებით მუშათა მასა. მუშათა კლასს წინ ედგა გასავლელათ ჯერ კიდევ საკმარისათ გრძელი გზა თვითკრიტიკისა და გამოფხიზლებისა.

ამ დროს საქმე ისე მოეწყო, რომ მოულოდნელად და თითქო ერთი დაკვრით ხდება მისი გამოფხიზლება, მისი სულიერი განწყობილების ძირიანათ გამოცვლა. გერცენი ერთ თავის წერილში ამბობდა, რომ 1825 წელს დეკემბრის მეამბოხეთა წინააღმდეგ გასროლილმა ზარბაზნებმა დიდათ შეუწყვეს ხელი რუსეთის საზოგადოების გამოფხიზლებას და ეს გამოფხიზლება ამიტომ ძლიერ დაჩქარდაო. რა არის ამასთან შედარებით ის, რაც 9 იანვარს მოხდა იმავე პეტერბურგის ქუჩებზე! რამდენიმე ათასი მოკლულ მუშების სხეულებით მოიფინა პეტერბურგის ქუჩები თითქმის რამდენიმე წუთის განმავლობაში, და პეტერბურგის პროლეტარიატის და მასთან მთელი რუსეთის პროლეტარიატის გამოფხიზლებაც და გონზე მოსვლა მოხდა ერთბაშად, უეცრად. მოკლედ და მკაფიოდ გამოხატავს ამ სულის კვეთებას ამხ. მ. გორკი ერთ თავის წერილში*), სადაც მას მოყავს ზოგიერთი შენიშვნები და კითხვები დამსწრეებისა.

— რა არის ეს, ძმებო, ა?

— მკვლელობა ხდება, ქრისტიანებო!

— რისთვის?

— აი რა ყოფილა მთავრობა!

— ჩვენ, ა, ცხენებით სრესენ!

ამ სიტყვებში იხატებოდა არა მარტო გაბრაზება, არამედ კიდევ სხვა რამეც: ეს იყო შეგნება. ძვირათ, მეტათ ძვირათ დაუჯდა მუშებს ეს შეგნება. მაგრამ ამ ველური და ჯერ არ ნახული ჟლეტის მსხვერპლებთან ერთად მოკლულ ძმების სახით რუსის ხალხმა დამარხა აგრეთვე საუკუნოების განმავლობაში მის ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა მეფისა და მის მთავრობისადმი. აქედან კი ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლებოდა: უწინარეს ყოვლისა ბრძოლა და შეიარაღება ამ მეფობის, ამ საზიზღარი, მტარვალური, ხალხის სისხლით გალეშილი მთავრობის დასამხობათ. და შურის ძიება ამოდენა უმანკო მსხვერპლთათვის. ამიერიდან შეუძლებელი შეიქნა შერიგების ყოველივე ცდა ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის. ეს ნიშნავდა ვეებერთელა ნაბიჯს წინ ხალხის გამოფხიზლებაში. 9 იანვარმა შეაშფოთა და შეაძრწუნა მთელი ხალხი; მუშათა ხალხი კი მან დარაზმა და გამოიყვანა საბრძოლველათ. როგორც მისი დამშვიდება, ისე მისი დატყუილება ამიერიდან უკვე შეუძლებელი შეიქნა. ყველა მიხვდა, რომ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა, მოხდა უდიდესი გადატეხა. და ჩვენმა პარტიამაც მაშინვე განაცხადა, რომ 9 იანვარით რუსეთში უკვე დაიწყო რევოლიუცია.

არც ის ფაქტი, რომ პეტერბურგის მუშები ამ დღეს გამოვიდნენ მის ქუჩებზე ხატებით და მეფის სურათებით, არც ის გარემოება, რომ იმათ წინ მიუძღოდათ მღვდელი გაპონი (მეტად ბნელი პიროვნება, მოკლული შემდეგ რევოლიუციონერების მიერ, როგორც პროვოკატორი), ოდნავაც არ ამცირებენ 9 იანვრის მნიშვნელობას. თვითმპყრობელობამ დახოცა 9 იანვარს რამდენიმე ათასი მუშა, რომელთაც იმ წუთში აზრადაც არ ჰქონებიათ მის წინააღმდეგ ბრძოლა, პირიქით, ხელაპყრობით და სასოებით მიდიოდნენ მასთან თხოვნის გადასაცემათ. ჩვენ ვიცით, რომ 9 იანვარს შემდეგ ასობით და ათასობით იღუპებოდნენ მუშები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღით ხელში. რაოდენ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ბრძოლაში დაღუპულ მუშების და გლეხების ღვაწლი და სამსახური რევოლიუციის წინაშე, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ არანაკლებ, თუ კიდევ მეტათ არა მნიშვნელოვანი იყო და იქნება რუსეთის რევოლიუციისათვის 9 იანვარს ვერაგულად და მუხანათურად მოკლულ მუშების თავგანწირვა. რევოლიუციის ისტორია ამტკიცებს, რომ რუსეთის მუშები არასოდეს უკან არ იხევდნენ თავგანწირული ბრძოლის სარბიელიდან საერთო საქმისათვის. მართალია, 9 იანვარს მუშები, როცა მიდიოდნენ სენატის მოედნისაკენ თხოვნის გადასაცემად, არავითარ შიშს და ძრწოლას არ გრძნობდნენ, რადგანაც საბრძოლველად როდი მიდიოდნენ, არამედ მხოლოდ სათხოვნელად, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იგივე მუშები ასევე უშიშრად და წარბშეუხრელად წავიდოდნენ მაშინაც კი, რომ მათ წინდაწინვე სცოდნოდათ, რომ იმათ სიკვდილი მოელის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ისინი იარაღით გასწევდნენ იქითკენ. ისტორიამ ეს შეურყეველათ დაამტკიცა. ამ უმაგალითო სისხლის ღვრის მიზანი იყო ამოძრავებული ხალხის დაშინება-დატუქსვა და რევოლიუციონური მოძრაობის სრულიად ჩაქრობა. მაგრამ „სისხლიანი ნიკოლოზის" მთავრობა სასტიკად მოსტყუვდა: 9 იანვრის ამბებს მოყვა რევოლიუციის გაძლიერება, რევოლიუციონურ მუშების და გლეხების საბოლოოდ გამოფხიზლება და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვა. იმავე დროს ამავე ამბებმა მეტად დიდი არევ-დარევა შეიტანეს მთავრობის რიგებში, იმათ იგრძნეს, რომ ხამუტანი გადააჭარბეს, რომ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერ შორს წავიდნენ, და დაიბნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, მეორე დღესვე იწყეს თითქო „მონანიება", პატარ-პატარა, უმნიშვნელო დათმობების გზაზე შედგომა. მაგრამ ეს არავის აკმაყოფილებდა და პირშავი მეფის მთავრობას აღარავინ აღარ უჯერიდა. ამაში მდგომარეობს 9 იანვრის ამბების დიდი მნიშვნელობა.

აი რისთვის ყოველწლივ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი პატივისცემით და დიდებით იგონებს 1905 წელს, 9 იანვარს დახოცილ მუშების ხსოვნას. და იმავე დროს წყევლა-კრულვას უგზავნის მუშათა კლასის ყველა მტრებს.

ფ. მახარაძე.

---

*) იყო საშინელება... მაგრამ დაფრთხობა (паника) არ ყოფილა...

*) „1905 წლის 9 იანვარი".

პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე—თავდები ჩვენი საბოლოო გამარჯვების

(პარტიული კონფერენციის შედეგების გამო)

ორ თვეზე მეტია რაც რევოლიუციისა და ჩვენი პარტიის მტრებისა და მეგობრების ყურადღება მთელ მსოფლიოში მიჯაჭვულია იმ ამბებისადმი, რომლებსაც ადგილი აქვთ რევოლიუციონური პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაში, კომუნისტურ პარტიაში. ორ თვეზე მეტია რაც მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია და პროლეტარიატი მოწამე არიან თავისი სიფართოვით უჩვეულო კამათის და აზრთა შეჯახების იმ პარტიაში, რომელიც მართავს მოსისხლე მტრებით გარემორტყმულ უდიდეს ქვეყანას და ახალ საფუძვლებზე აშენებს მის ცხოვრებას. ბუნებრივია ასეთ პირობებში მოლოდინი როგორც ამ მტრების, ისე მეგობრების. მოუთმენლათ იყვნენ პირველნი იმის მოლოდინში, რომ პარტიის შინაური უთანხმოებანი ძირს გამოაცლის მის მთლიანობას, დასცემს მის ძლიერებას და მასთან ერთად მთელ თაობათა უამრავ მსხვერპლის შემდეგ დაწყებულ შენობას ახალი ქვეყნისას. ის, რაც ვერ მოახერხეს მათმა შავმა ლეგიონებმა, უნდა მომხდარიყო, მათი „ანგარიშით", პარტიის რასკოლის და, ყოველ შემთხვევაში, მისი დასუსტების შედეგათ. არა ნაკლებ მოუთმენლობით და გულისცემით მოელოდნენ ჩვენი ამხანაგები და მეგობრები შედეგებს შინაპარტიული უთანხმოებებისა და კამათისას. და ჩვენ უკვე გვაქვს დღეს ეს შედეგები.

ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლიუცია შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ ერთხმათ იქნა მიღებული ისე, რომ თავიც კი არავის შეუკავებია—ასეთია ცნობა, რომელიც გადმოგვცა მოსკოვმა და იბეჭდება დღეს ჩვენ გაზეთში. ასეთ ვე ერთსულოვანებითა და ერთხმათ იქნა მიღებული კონფერენციაზე რეზოლიუცია პარტიის სამეურნეო პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ.

არ გამართლდა მტრების მოლოდინი, გაიმარჯვა პარტიის მთლიანობამ, გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ და რევოლიუციის საქმემ.

პარტიამ დაამტკიცა დღეს უკვე გათავებული კამათით, თუ რა ძლიერებას წარმოადგენს პროლეტარული პარტია ჩვენი კავშირის, რა ძალას ეყრდნობა რევოლიუცია. ვერც ერთი პარტია ბურჟუაზიის და შემთანხმებელი ინტერნაციონალის ვერ დაიჩემებს თავისუფლებას, საჯაროთ მტრების თვალის წინ თავისი შინაური საქმეების გამოტანისას და გარჩევისას ისეთი მასშტაბით, როგორც ამის მაგალითი მოგვცა პარტიულმა დისკუსიამ.

შორსმჭვრეტელი იდეოლოგები მსოფლიო ბურჟუაზიის მართალს ამბობდნენ, როდესაც სწერდნენ (მაგ. ინგლისურ „ტაიმს"-ში), რომ „მგელი მგლის ტყავს არ დახევს" და, მიუხედავათ ჩამოვარდნილი უთანხმოებისა, საბოლოო ანგარიშით კომუნისტები მაინც მორიგებით გაათავებენ საქმესო. ეს ასე მოხდა, ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარების, იქ კლასთა ურთიერთობისა და ჩვენი პარტიის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, ამ უკანასკნელში თავს იჩენს დროგამოშვებით უთანხმოებანი, მაგრამ, დამდგარი პირისპირ რევოლიუციისა და ჩვენი მშრომელი ხალხის მტრების წინაშე, პარტია პოულობს საკმაო ძლიერებას და სიმტკიცეს, რომელიც ახასიათებს პროლეტარიატს, რომ საერთო შეკავშირებული ძალით გამოვიდეს მათ წინააღმდეგ.

წარსული პარტიის და მისი მორიგე დიადი ამოცანებისათვის პასუხისმგებლობის შეგნება თავდებია იმისა, რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს მისი ხელმძღვანელობით, გაიმარჯვებს ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები

II.

ჩვენი ვაჭრობის დეფექტები

ჩვენ აქ ვილაპარაკებთ არა ისეთ ნაკლულევანებებზე, როგორიცაა: გადაჭარბებული საორგანიზაციო ხარჯები, მოგების დიდი პროცენტი, შეცდომები კალკულიაციაში, მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა, რომელთა შესახებ ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა და უფრო ბევრი ითქვა.

მხედველობაში გვაქვს სხვა რამეები.

ვთქვათ, საქონელი, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, გავაიაფეთ, სავაჭროებიც გავხსენით ბლომად. გვერდით არსებობენ კერძო სავაჭროებიც, რომელნიც ყიდიან საქონელს დაახლოებით იმავე ფასებში, როგორც ჩვენ და ან უფრო ძვირად.

ჩვენს ამოცანას შეადგენს გამოვტაცოთ მყიდველი კერძო ვაჭარს, გავრიყოთ ეს უკანასკნელი, მოვიზიდოთ მომხმარებელი ჩვენს სავაჭროში.

როგორ მოვახერხებთ ამას? დაუშვათ, რომ ფასები ერთნაირი არის როგორც ჩვენს, ისე კერძო სავაჭროში, ან ჩვენსაში ცოტა ნაკლები. მაშინ პირობები არსებობს იმისათვის, რომ კერძო ვაჭარი დავამარცხოთ. მყიდველი ჩვენი მხრით მოტყუილებისაგან დაზღვეულია. ამასთან, თუ გინდ ნახევარი კაპეიკით უფრო იაფად რომ გავყიდოთ საქონელი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ გლეხისათვის, რომელიც კაპეიკობით ითვლის ფულს.

პირველ შეხედვით, ჩვენი გამარჯვების შანსები აშკარაა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის წარმატებაში საერთოდ, კერძოდ კი სოფლად.

საკითხი ეხება მყიდველის მიმზიდველობას.

მოვიყვანოთ მაგალითები.

მსოფლიო ომის საკმაოდ კარგა ხნის წინედ ერთ მივარდნილ სოფელში ორ მოქალაქეს ცალ-ცალკე ჰქონდათ გახსნილი ფართლეულის სავაჭრო, ერთი შენობის მომიჯნავე ოთახებში. ერთ მათგანს მთელი სოფელი ბუზივით ეხვეოდა, კვირა-უქმე დღე ტევა არ იყო მის დუქანში, მეორეს სავაჭრო კი თითქმის სულ ცარიელი იყო. ორივეს სავაჭრო სავსე იყო საქონლით; ორივენი ერთნაირ ფასებში ყიდდნენ მას.

რაში იყო საიდუმლოება ხალხის ასეთი განსხვავებული დამოკიდებულებისა ვაჭრებისადმი?—მხოლოდ იმაში, რომ ერთს ემარჯვებოდა მიდგომა მყიდველისადმი; შეხვდებოდა მას ხალისით, არ იზარებდა საქონლის გადაშლას, დაწვრილებითი ახსნა-განმარტების მიცემას და სხ. მეორე კი სულ ყოველთვის წარბშეკრული და პირმოღუშული იყო, ეგდებოდა—ვიღაცა ახლობელი მიკვდომიაო; ვერ იტანდა მყიდველის მუსაიფს, მის „კაპრიზებს", ვერ ექცეოდა მას ზრდილობიანად.

სწორედ ამის წყალობით, და არა სხვა მიზეზით, ეს უკანასკნელი ვაჭარი გაკოტრდა.

ეს ნამდვილი ამბავია და საარაკოდ გადაიქცა მთელ სოფელში.

რა თქმა უნდა, ეს გაკოტრებული ვაჭარი თავის მტერი არ იყო, მაგრამ მისი ხასიათი ვაჭრობის საწარმოებლად არ იყო შექმნილი.

ავიღოთ მეორე მაგალითი: ერთი მეთვალყურე გვწერდა ამას წინედ: „რუსთაველის ქუჩაზე ზიზრიჩკოს გვერდით მოთავსებულია მაღაზია მიწათ-მოქმედების კომისარიატის. რას წარმოადგენს ეს მაღაზია?—შეხვალთ თუ არა შიგ, იმ წამსვე შენიშნავთ, რომ აქ არა საქმის მცოდნე ადამიანის ხელი ტრიალებსო. გამოფენილია საქონელი ძალიან ულაზათოდ უგემურად. შიგ უწესრიგობაა,—უსიცოცხლობა ნოქრების. თუ გაჩვენეს რამე,—ზანტად, თითქო ახლად ამდგარიყვნენ ლოგინიდან. აშკარად შეატყობთ საქმისადმი უსიყვარულობას".

მოდით და ამის შემდეგ შევებრძოლოთ ბიზრუჩკოებს, კერძო ვაჭრებს, მოვიზიდოთ მეტი მყიდველი!

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს წვრილი მოვლენაა, რომელზედაც თითქო არ ღირდეს შეჩერება. ჩვენ კი ვამბობთ, რომ სავაჭროში მომუშავეთა ხასიათს, მათ დამოკიდებულებას მყიდველისადმი აქვს უდიდესი მნიშვნელობა მყიდველის მოზიდვაში.

საქმე ეხება ასეთ მოსამსახურეთა სათანადო შერჩევას. ამისათვის ყველა არ გამოდგება, თუ გინდ ერთგვარი ცოდნა შესწევდეს და კიდევაც სურდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი და კოოპერატიულ ვაჭრობის წარმატება.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენს სავაჭროებში ხომ ისეთი ხალხია მოკალათებული, რომელსაც ჩვენი ვაჭრობის ბედი სრულებით არ აინტერესებს.

ჩვენს კომერციულ დაწესებულებებში და სავაჭროებში სუფევს „ჩინოვნიკური" სული, ფორმალიზმი. იქ გამეფებულია ცივი და განურჩეველი დამოკიდებულება მყიდველისა და თვით საქმისადმი, რაც აფრთხობს მყიდველსაც და ჩვენს ვაჭრობასაც ძირს უთხრის.

„ჩინოვნიკურ" სულს, ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს ჩვენ ვებრძვით სახელმწიფო დაწესებულებებში. მაგრამ რა რიგ უფრო დამღუპველია ყველა ეს „სიკეთე" ისეთი ცოცხალი საქმისათვის, როგორიცაა ვაჭრობა. ჩვენ კი დღემდე ყურადღებას არ ვაქცევთ ამას.

ამ თვალსაზრისით უნდა მოვახდინოთ ჩვენი სავაჭრო დაწესებულებათა გაწმენდა-გაცხრილვა. შეუბრალებლად უნდა ამოვფხვრათ ამ სფეროში „კაზიონშჩინის", საბოტაჟის და სხვა ასეთი მოვლენების ყოველგვარი ნაშთი. და უნდა ჩავაყენოთ ჩვენს სავაჭროებში ისეთი პირები, რომელნიც შეიტანენ საქმეში მეტ სიცხოველეს და შესძლებენ მომხმარებელი მასის მიზიდვას.

ჩვენს ვაჭრობას ბევრი სხვა ნაკლულევანებანი აქვს. ავიღოთ, მაგ. საქონლის შერჩევის საკითხი, განსაკუთრებით გლეხობისათვის, რომელიც უნდა შეადგენდეს ამ მხრივ ჩვენი მზრუნველობის მთავარ საგანს.

ამბობენ, და არა უსაფუძვლოდ, გერმანიამ ომამდე თავისი ვაჭრობით დაამარცხა ინგლისი ამ უკანასკნელის კოლონიებშიც, სხვათაშორის, იმითაც, რომ მან უფრო აულო ალღო ადგილობრივი მცხოვრებთა მოთხოვნილებებს და გემოვნებას და ამის მიხედვით მიაწოდა მას საქონელი.

რა მოსატანია ეს მაგალითი,—იკითხავს მკითხველი,—განა ჩვენ არ ვიცით, თუ რა ესაჭიროება დღეს გლეხობას და საერთოდ მშრომელ ხალხს?

საქმე მარტო ცოდნაში არ არის, არამედ ამ ცოდნის მიხედვით მოქმედებაშიც.

ჩვენ რომ ამ მხრივ შეცდომებს არ უშვებდეთ, ცეკას არ დასჭირდებოდა თავის რეზოლიუციაში „ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ" საგანგებოდ აღენიშნა, რომ საჭიროა „ქვედა სავაჭრო აპარატის გაფართოვება, განსაკუთრებით ქვედა კოოპერატიული ქსელის, მომხმარებლის ინტერესებისათვის ანგარიშის გულდასმითი გაწევის საფუძველზე (მასიურ მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შერჩევა და სხ.)."

ცოდვა გამხელილი სჯობიაო, ნათქვამია. და ჩვენც ვიტყვით, რომ ამ დარგში ყველაფერი რიგზე არ არის ჩვენში.

ჩვენ ვიცით, რომ კოოპერაციაში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ისეთი საქონლის შეძენას, რომელიც შეადგენს ფუფუნების საგანს და მასიური მომხმარებლისათვის ის გამოუსადეგარია.

თუ თანხა გაგვიჩნია, ის უნდა გამოვიყენოთ მიზანშეწონილად და გლეხობას მივაწოდოთ არა, მაგ., „დუხი" და „პუდრი", არამედ რაც აუცილებლად ესაჭიროება: იაფ-ფასიანი ფართლეული, ნავთი, მარილი, ლურსმანი და სხ.

კერძო ვაჭარი აქაც იჩენს უნარს და გლეხობას აწვდის საქონელს ისეთი შერჩევით, რომ აკმაყოფილებს მის გემოვნებას და მოთხოვნილებას. ის ითვალისწინებს, თუ რა მოეწონება და უნდა გლეხს სახლისათვის, საცვლებისათვის, ტანისამოსისათვის და ამის მიხედვით იძენს საქონელს და გააქვს სოფლად.

ამ მხრივაც უნდა შევეძლოთ გლეხს მიუდგეთ, როგორც საჭიროა. გლეხი ნაირ-ნაირ საქონელს არ ყიდულობს, ის იყიდის ერთ რამეს, მაგრამ დიდი შერჩევის შემდეგ. ჩვენ მას უნდა აულოთ ალღო და მივსცეთ სწორედ ის, რაც ჭკუაში დაუჯდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო ვაჭარს ვერ დავამარცხებთ.

ჩვენი კოოპერატიული და საერთოდ სავაჭრო სამეურნეო საქმიანობის ნაკლულევანებად, რომელიც მოქმედებს საქონლის გაძვირებაზე,—ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ხშირად ვიჩენთ ხელგაშლილობას მოსამსახურეთა, უფრო სწორად, მისი მაღალი ფენების დაჯილდოების საქმეში. ხშირია შემთხვევები, როცა კოოპერატიული გამგეობები მოგებიდან გულუხვად არიგებენ ჯილდოს. ამას წინად მუშკოოპს დაურიგებია ჯილდოები ე. წ. სპეცებისათვის საკმაო დიდი თანხის რაოდენობით. ჩვენი სპეცების ნაწილის სპეცობა საეჭვოა. ჩვენ ვიცით, თუ ვინ არიან ისინი, რა საქმის როგორი მცოდნენი და მოსიყვარულენი. გარდა ამისა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, და ეს უმთავრესია ამ შემთხვევაში,—ისინი განსაკუთრებულ სპეც-განაკვეთებს იღებენ.

ჩვენ გვმართებს ყველაფერში დიდი მომჭირნეობის გამოჩენა, დაჯილდოვების საქმეშიც. სინამდვილე ნებას არ გვაძლევს ვიყოთ გულუხვნი და ხელგაშლილნი.

აქ უნდა გამოვიჩინოთ მეტი „სიძუნწე" ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ცეკას რეზოლიუციის შემდეგი ადგილი: „აკრძალულ იქნას ჯილდოს უთავბოლო გაცემა, ასეთი დაიშვება მხოლოდ წმინდა მოგებიდან და მარტო ცალკე, განსაკუთრებით კეთილსინდისიერ და დამსახურებულ მუშაკების მიმართ პროფკავშირების თანხმობით".

ამით დავათავებთ ლაპარაკს ჩვენი ვაჭრობის დეფექტების შესახებ.

რა თქმა უნდა, ჩვენი ვაჭრობის ასე ვსთქვათ, პრაქტიკული ხასიათის ნაკლულევანებანი, რომელნიც გვქონდა მხედველობაში, ბევრია. ჩვენ ისინი ოდნავადაც არ ამოგვიწურავს. ალბად, საქმესთან ახლო მდგომნი გააშუქებენ ამ საჭირბოროტო საკითხის სხვა მხარეებს.

მ. ძ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო.

საფრანგეთში: ცნობილი ეკონომისტი შარლ ჟიდი გაზეთში მოითხოვს საფრანგეთის მთავრობისაგან დაასწროს სხვა სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში.

გაზეთ „ტან"-ის რედაქტორი ერბეტი მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას და აცხადებს: „დიდ სახელმწიფოს არ სჭირდება ცნობა. ის თითონ აცხადებს თავის არსებობის შესახებ".

ინგლისში: პარლამენტში კლაინსმა მოითხოვა საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დაჭერა და საბჭოთა რესპუბლიკების ელჩის მიღება ლონდონში.

იაპონიაში: გაზეთებმა გააცხოველეს კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ამერიკაში: ბანკები და სავაჭრო წრეები დიდი ყურადღებით ეპყრობიან საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

საფრანგეთში

ჟიდის შეხედულება.

პარიზი. 19 იანვარი. ცნობილი ფრანგი ეკონომისტი შარლ ჟიდი გაზ. „კოტ დიუ"-ის ფურცლებზე სვამს საკითხს, რას უცდის საფრანგეთი, რომელიც მოითხოვს იურიდიულად უცნობ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან მეფის ვალების ცნობას. შარლ ჟიდი აცხადებს, რომ **საფრანგეთის მთავრობა დაუშვებს შეცდომას, თუ სხვა მთავრობებს დაასწრეს საბჭოთა კავშირის ცნობის გზაზე დადგომას. შარლ ჟიდი თავის წერილს ათავებს შემდეგი დასკვნით, რომ ვაჭრობა რუსეთთან საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობის გარეშე წარმოუდგენელია,** რამდენადაც საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირი არ საჭიროებს ცნობას.

პარიზი. 19 იან. გაზეთ „ტან"-ის რედაქტორი ერბეტი სწერს: „სავარაუდოა, რომ საფრანგეთის მთავრობამ განიხილოს ამჟამად საბჭოთა კავშირის ცნობის პირობები. არავითარი სასარგებლო არ იქნებოდა წინასწარ გამაგრება კარის, რომლის ჩამტვრევას არავინ არ ცდილობს. მოსამზადებელი მუშაობის დროს, რომლის გაწევა აუცილებელია მოლაპარაკების დაწყებამდე, საფრანგეთი ჩავარდება მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში რადგანაც **საფრანგეთის მთავრობა არ ყოფილა უშუალოდ გაცნობილი საბჭოთა კავშირის მთავრობის განზრახვებთან**, ის იმ დროს, როდესაც ყველა დანარჩენ მთავრობებს მოეპოებათ უშუალო ინფორმაციის წყაროები!" ერბეტი თავის წერილს ათავებს პარიზში მეფის ყოფილი ელჩის გორჩაკოვის სიტყვებით:

„დიდი სახელმწიფო არ საჭიროებს ცნობას. ის თვითონვე აცხადებს თავის არსებობას".

ინგლისში.

რატომ არ არის ცნობილი იურიდიულად საბჭოთა რუსეთი?

ლონდონი. 19 იანვარი. თემთა პალატაში გამართულ კამათის დროს კლაინსმა, რომელმაც შესწორება შეიტანა მუშათა პარტიის პასუხში სეფე სიტყვაზე, განაცხადა, რომ სეფე სიტყვის მტკიცება, რომ ინგლისი მეგობრულ განწყობილებაშია უცხოეთის ყველა სახელმწიფოებთან, არ არის მართალი. **„განა დიდ რუსეთთან ჩვენ გვაქვს მეგობრული ურთიერთობა? ხოლო თუ გვაქვს, მაშინ რატომ არ გვინდა მივიღოთ ლონდონში საბჭოთა მთავრობის ელჩი?**

თუ ამას იმიტომ ჩავდივართ, რომ რუსეთი არ გვიხდის ჩვენ ვალებს, მაშინ ჩვენ რატომ ვღებულობთ საფრანგეთის ელჩს?" **კლაინსის განცხადებას მქუხარე ტაშისცემით შეხვდნენ.**

იაპონიაში

კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.

ტოკიო. 19 იანვარი **გაზეთებმა „ასახი"-მ და „ჯიჯი"-მ განაახლეს კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ; აღნიშნული გაზეთები აუცილებლად სთვლიან საბჭოთა კავშირის ცნობას ინგლისის მიერ.**

ამერიკაში.

განწყობილება ცნობის სასარგებლოთ შეიცვალა.

ნიუ-იორკი. 19 იანვარი. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარის ნოგინის გამგზავრებამ სამხრეთის შტატებში საგრძნობლად შესცვალა ამერიკის საქმიან წრეების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მიმართ ნოგინმა ინახულა ამერიკის ყველაზე უფრო რეაქციონური რაიონები და ყველგან მას თავაზიანად ხვდებოდნენ ადგილობრივი პრესა, კომერსანტები და თანამდებობის პირები. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს ნოგინმა განაცხადა, რომ **ამერიკის ბამბის მრეწველები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი და აშკარად აღიარებენ, რომ დღემდე მათ არ ჰქონიათ სწორი ცნობები საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ.** ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა სამხრეთის შტატებში საფეიქრო სინდიკატის ნიუ-იორკის განყოფილების მიერ ბამბის შეძენის შემდეგ, რამაც თვალსაჩინო გახადა სავაჭრო ურთიერთობის დაჭერის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირთან. **დახმარებამ, რომელიც სინდიკატს გაუწიეს ნიუ-იორკის ბანკირებმა, დიდი გავლენა იქონია აგრეთვე ნოგინის დელეგაციის მიღებაზე სამხრეთის შტატებში.** ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ ნოგინმა **ხელშეკრულება დასდო ნიუ-იორკის ერთ-ერთ მსხვილ ბანკთან ბამბის შესყიდვის საქმისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ.**

კმაყოფილი არიან რუსეთთან ვაჭრობით.

ნიუ-იორკი. 19 იანვარი. სენატორმა დაიელმა, დემოკრატმა, სამხრეთის შტატების მებამბეთა წარმომადგენელმა სენატში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც **კმაყოფილება გამოსთქვა რუსეთის საფეიქრო სინდიკატის მიერ ამერიკაში ბამბის შესყიდვის გამო.**

დაიელმა განაცხადა, რომ სამხრეთის მოსახლეობა კმაყოფილია რუსეთთან ურთიერთობის განახლებით და გამოსთქვა, რომ საბჭოთა რუსეთთან „ბევრი საქმეების" გაკეთება შეიძლება.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი.

ნიუ-იორკი. სენატორ ბორას კომისია, რომელსაც დავალებული აქვს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გამორკვევა, შეიკრიბება ალბად 21 იანვარს. პირველყოვლისა განხილული იქნება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ცნობები.

გერმანიაში

საბჭოთა კავშირში მიისწრაფვიან.

ბერლინი. 19 იანვ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა ბერლინში ყოველ დღე იღებს გერმანიის ხელოსნებისგან, წვრილ და საშუალო კაპიტალისტებისაგან თავის წარმოებების გერმანიიდან რუსეთში გადატანის წინადადებებს.

ზოგიერთი წარმომადგენლები გამოსთქვამენ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების და საბჭოთა სამსახურში გადასვლის სურვილს.

შვეციაში

საბჭოთა კავშირთან შეთანხმების წინააღმდეგ.

სტოკჰოლმი. 19 იანვ. რიკსდაგში კამათის დროს პრემიერმა ტრიუგერმა გაილაშქრა ბრანტინგის მოთხოვნილების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ შეთანხმების შესახებ.

ტრიუგერმა განაცხადა, რომ ხელშეკრულები დასადებათ საჭიროა მთელი რიკსტაგის თანხმობა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ რუსეთმა პირველად გასწყვიტა კავშირი შვეციასთან, როცა მოახდინა შვეციის საელჩოს შენობის კონფისკაცია პეტროგრადში 1918 წ.

კომუნისტ დეპუტატ ჩილბუმთან კერძო საუბრის შემდეგ ტრიუგერი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ კავშირის გაწყვეტის მიზეზი სხვა არის, მაგრამ კვლავ [illegible] ბრალებს რუსეთს შვეციის მოქალაქეთა დევნას და სხვა.

ჩილბუმმა კატეგორიულად უარყო ტრიუგერის განცხადება და ხაზი გაუსვა, რომ კავშირის გაწყვეტა საბჭოთა რუსეთთან მოახდინა შვეციის ელჩმა პეტროგრადში.

გერმანიის მუშათა მოძრაობა

უმუშევართა დღე.

ბერლინი. 19 იანვარი. პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანებამ გამოუშვა მოწოდება 8 თებერვალს უმუშევართა სასარგებლოდ შემოწირულებათა შეკრების შესახებ.

კომპარტია წინააღმდეგი არის, რადგან თვლის, რომ უმუშევრობის საკითხი არ არის ქველმოქმედების საგანი.

„როტეფანე“ სწერს: „ჩვენ გვესაჭიროება არა შემოწირულება, არამედ შრომა.“

უარს ამბობენ იძულებითი სამუშაოზე.

ბერლინი. 19 იანვარი, დრეზდენში უმუშევრებმა უარი სთქვეს იძულებითი მუშაობაზე. სტრეიკბრეხერებს პოლიცია იცავს.

სოციალ-დემოკრატების მოღალატეობა.

ბერლინი. 19 იანვარი. გაფიცვა რეინის ვესტფალიაში გრძელდება, თუმცა ზოგიერთ ადგილებში დამშეული მუშები დასთანხმდნენ მუშაობის განახლებაზე. სოციალ-დემოკრატები აგიტაციას ეწევიან გაფიცვის შეწყვეტის სასარგებლოთ.

გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. 19 იანვ. ჩრდილოეთ-გერმანიის ნახშირის რაიონში გაფიცვა გრძელდება.

8000 მუშა ქუჩაში.

ბერლინი. 19 იანვ. მუსიკალური ინსტრუმენტების ბერლინის ფაბრიკაში დაითხოვეს 8000 კაცი, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს შრომის ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გახანგრძლივების გამო.

ძალით გაჰყავთ სამუშაოზე.

ბერლინი. 19 იანვ. რურის ოლქის იმ ნაწილში, რომელიც უჭირავთ ინგლისელებს, გაიფიცენ ელექტრონის სადგურების მუშები.

წარმოებებში მუშაობს სულ 600 კაცი, რომლებიც ინგლისელებმა აიძულეს შედგომოდენ მუშაობას. ინგლისის სამხედრო სარდლობამ აკრძალა გაფიცვები.

9 საათის სამუშაო დღე.

ბერლინი. 19 იანვარი: გზათა მიმოსვლის მინისტრის განკარგულებით ყველა რკინის გზებზე შემოღებულია 9 საათის სამუშაო დღე.

გაფიცვები და შეტაკებანი გერმანიაში

უკანასკნელი ცნობები.

ბერლინი. 19 იანვარი. რეინის და ვესტფალიის რაიონში გაფიცულია 316,000 ლითონზე მომუშავე, 52,000 სამთომადნო წარმოების მუშა და 60.000 ფეიქარი.

გაფიცულთა საერთო რიცხვი 500.000 აღემატება.

საგაფიცვო მოძრაობა დაპყრობილ ოლქებს გარეშეც ვრცელდება.

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ყრილობამ დაადგინა გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა.

(დამახინჯებულია) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

ლანგენდრეიერში პოლიციამ უარი სთქვა ესროლა მუშებისათვის.

ბრედერგში პოლიციამ განაცხადა, რომ ის დაიცავს ნეიტრალიტეტს ბრძოლაში მუშებსა და მწარმოებლებს შორის.

გაფიცულები ძლიერ აღელვებული არიან. ხშირად ხდება შეტაკებები გაფიცულებსა და პოლიციას შორის.

ბოხუმში, გეტინგენში და რეიმშეიდში პოლიციასა და გაფიცულებს შორის ნამდვილი ბრძოლა სწარმოებს.

გილდეში პოლიციასა და გაფიცულებს შორის შეტაკების დროს დაიჭრა 13 კაცი და დაატუსაღეს გაფიცვის კომიტეტი.

ოპლანდენში დაიწყო მუშების მასიური დაპატიმრება.

ნევიდეში უმუშევრების დემონსტრაცია დასრულდა შეტაკებით პოლიციასთან.

საფრანგეთის ჯარის სარდლობა, რომელიც დღემდი არ გამოდიოდა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ახლა აშკარათ იცავს მწარმოებლების ინტერესებს, დიუსელდორფის შეთანხმების განხორციელების მიზნით, — ატუსაღებს გაფიცულებს, კრძალავს აგიტაციას და გაფიცვებს.

გერმანიის საერთო მდგომარეობა

ნაციონალისტები მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნას.

პარიზი. 19 იანვარი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, რეიხსტაგის წევრებმა ნაციონალისტებმა წინადადება შეიტანეს რეიხსტაგის დათხოვნისა და ახლო მომავალში ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ, რადგან, მათი აზრით, მთავრობის საგანგებო უფლებები ყოველგვარ აზრს უკარგავს რეიხსტაგის არსებობას. ნაციონალისტებს განზრახვა აქვთ აგრეთვე მოითხოვონ საალყო წესების გაგრძელება არჩევნების დასაცავათ.

პროტესტი სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ.

ბერლინი. 19 იანვარი. მთელ რიგ წარმოებათა მუშებმა მიმართეს სოციალ დემოკრატიულ პარტიის ცეკას, პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებას და „ფორვერტს“-ის რედაქციას წინადადებით, რათა პროტესტი განაცხადონ პრეზიდენტ ებერტის წინაშე სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილი იქნა ბერლინის სასამართლოს მიერ ჰამბურგელ მუშის მიმართ (გვარი დამახინჯებულია).

ფინანსიური კრიზისის სერიოზულობა.

ბერლინი. 19 იანვარი, რეიხსტაგის უფლებათა კომისიის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა ემინგერმა გაილაშქრა გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის ოპტიმისტურად შეფასების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მდგომარეობის მოჩვენებითი გაუმჯობესება, რომელიც გამოწვეულია გადასახადების წარმატებით აკრეფით, არ ამცირებს საერთო ფინანსიური კრიზისის სერიოზულობას. ემინგერმა მოითხოვა გრძელვადიანი ვალდებულებათა ხელახალი შეფასების საკითხის საწრაფოდ განხილვა და გამოსთქვა სურვილი, რათა ცნობების მიწოდება შემოსავლის შესახებ გადასახადების რაოდენობის გამოსარკვევად დასრულდეს 29 თებერვლამდე.

მუშათა პარტიის „პროგრამა“

ძველი გზით.

ბერლინი. 19 იანვარი. ბიშოპგეტში მუშათა პარტიის ლიდერმა სკოტ დუკერსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა მუშათა კაბინეტის პროგრამა საგარეო პოლიტიკის შესახებ. „სინგაპურის საზღვაო ბაზის საჭიროებისათვის, სთქვა მან, არავითარი კრედიტი არ იქნება გაღებული. გერმანიისაგან მოთხოვნილი იქნება უველაზე დიდი თანხა რომელიც კი შესაძლებელი იქნება, საკონტრიბუციო გადასახადების ანგარიშში. დაცული იქნება ბრიტანეთის არმიის და ფლოტის ისეთივე სიძლიერე, როგორიც მათ ჰქონდათ დღემდე. თუ საფრანგეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესების ცდა დამთავრდება უნაყოფოდ, მაშინ შექმნილი იქნება დიდი საჰაერო ფლოტი“.

ინგლისი დიდი გაფიცვის წინ

გაფიცვა დაიწყო.

პარიზი. 21 იანვარი. შეთანხმების უკანასკნელი ცდები უშედეგო აღმოჩნდნენ. რკინის გზელების გაფიცვა დაიწყება შუაღამისას.

პარიზი. 21 იანვარი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად რკინისგზელების გაფიცვა ოფიციალურად დაიწყო კვირას შუაღამისას.

რკინისგზელების გაფიცვის წინ.

ლონდონი. 20 იანვარი. მემანქანეთა და ცეცხლის გამჩაღებელთა გაერთიანებული კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი ფიქრობს, რომ გაფიცვა აუცილებელია.

კავშირის მდივანმა ბრამლეიმ განაცხადა, რომ ვინაიდან მოლაპარაკება რკინისგზის ადმინისტრაციასთან უშედეგოთ დამთავრდა, გაფიცვა აუცილებელი არისო.

მუშათა პარტიის ლიდერები ფიქრობენ, რომ გაფიცვის აცილება შესაძლებელია.

ტრედიუნიონების კონგრესის გუშინდელ სხდომაზე იდგა საკითხი მოქმედების ხაზის შესახებ.

საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკურად გაკოტრება

პუანკარეს „ნაბიჯი“.

პარიზი. 19 იანვ. პუანკარეს მიერ დეპუტატთა პალატაში დასმული ნდობის ვოტუმი მიღებულ იქნა 330 ხმით, წინააღმდეგ 204-ისა, პუანკარეს საზეიმო განცხადების შემდეგ, რომ ის სავსებით მხარს უჭერს პარლამენტის დღევანდელ უმრავლესობას. დეპუტატ ბიუკსოს შეკითხვა პენსიების კანონის გამოცემის ვადის გადადების მიზეზების შესახებ უარყოფილ იქნა.

ოფიციალური პრესა ესალმება პარტიის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას, მაგრამ აღიარებს, რომ მთავრობა კრახის წინაშე იდგა და მოუწოდებს ნაციონალურ ბლოკის უმრავლესობას ეროვნულ ინტერესების დაცვისაკენ.

„იუმანიტე“ სწერს: პალატის ამ საბედისწერო სხდომის მიხედვით, სადაც ცინიკურად იყო ფეხ-ქვეშ გათელილი მთავრობის ყველა საზეიმო დაპირებანი, შეიძლება ვიმსჯელოთ პარლამენტარიზმის გაკრიტიკების შესახებ. დამახასიათებელია, რომ პალატის სხდომის შემდეგ, ფრანკის კურსი ხელახლა დაეცა, რაც ამტკიცებს ფინანსიურ წრეების უნდობლობას მთავრობისადმი.

სხვადასხვა

კანადა.

გაფიცვის ტალღა.

ნიუ-იორკი. 20 იანვ. სიდნეიში (კანადა) გაიფიცა 12.000 სამთამადნო მუშა, ინგლისის ფოლადის ჩამომსხმელი საზოგადოებისა, რადგანაც წარმოებულები ხელფასის დაკლებით დაემუქრნენ.

ოსმალეთი.

ქართველ ემიგრანტების გაერთიანება.

ანგორა. 20 იანვ. სტამბოლში, ხელისუფლების თანხმობით, ქართველმა ემიგრანტებმა მოაწყვეს გაერთიანება. წესდება დამტკიცებულია [illegible] მთავრობის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა.

მოსკოვი. 20 იანვარი. მოსკოვის მცხოვრებთა რაოდენობა, რომელიც შემცირდა სიმშილობის დროს, ეხლა გაიზარდა და 1923 წლის დასასრულს ავიდა 1 ნახ მილიონამდე, რაც შეადგენს 1915 წლის მოსახლეობის 80 პროცენტს, როდესაც მოსკოვში მცხოვრებთა ციფრი უდრიდა დაახლოვებით 2 მილიონს.

თხოვნა სპეკულიანტების გადასახლების შესახებ.

ბახმუტი. 19 იანვარი. იუზოვკის მუშებმა განცხადება შეიტანეს ალმასკომში იუზოვკის ოლქიდან სპეკულიანტების გადასახლების შესახებ.

ყინვა და გაზაფხული.

სევასტოპოლი. 19 იანვარი. ტელეგრაფით მიღებულ ცნობის თანახმად, შავი ზღვის ჩრდილოეთ დასავლეთის ნაწილი დაფარულია გაუვალ ყინულით. სევასტოპოლში თბილი გაზაფხულის ამინდია.

უკრაინა

კრეშჩენსკის ბაზრობის გახსნა.

მოსკოვი. 20 იანვ. გუშინ გაიხსნა სრულიად უკრაინის კრეშჩენსკის-ბაზრობა.

რუსეთის საბჭოთა ყრილობა

ლენინის გზით.

მოსკოვი, 21 იანვ. გუშინ გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეთერთმეტე ყრილობა.

ამხ. კალინინი სრულიად რუსეთის ცაკის სახელით მიესალმა ყრილობის დელეგატებს.

„სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობებზე, — ამბობს ამხ. კალინინი, — ჩვენ შევიჩვიეთ მუშაობის წარმოებას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლენინის ახლობელი მონაწილეობით.

მისი სახით ყრილობაზე თავის რევოლიუციონურ აზრს გამოხატავდენ მუშები და გლეხები.

ახლა ამხ. ლენინი განსაცვიფრებელი მოთმინებით და სიმტკიცით ებრძვის მძიმე ავადმყოფობას“.

ამხ. კალინინი გამოსთქვამს ამხ. ლენინის მოკლე ხანში განკურნების სურვილს. ამხ. კალინინის ეს სიტყვები საერთო აღფრთოვანებას იწვევენ, მთელ დარბაზში გაისმის ხმები: „გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს“!

„განვლილი წელი, — განაგრძობს ამხ. კალინინი, — ნამდვილად მშვიდობიანი წელიწადი იყო საბჭოთა ხელისუფლების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამ წელში ჩვენ არ გვიხდებოდა, როგორც წინა წლებში მოუსავლიობით და სიმშილობით მოყენებული ჭრილობების წამლობა. ყველაზე მძიმე ამ წელიწადში იყო ის, რომ მმართველობის საჭეს არ ედგა ამხ. ლენინი.

მხოლოდ გამოცდილებამ, რომელიც მივიღეთ ჩვენ ვლადიმერ ილიჩისაგან, უკანასკნელის აღთქმებმა, რომელთაც ჩვენ წმინდათ ვინახავდით, საშუალება მოგვცა ჩვენ არა თუ დაგვეძლია მიმდინარე მუშაობა, არამედ აგრეთვე გაგვედიდებინა სახელმწიფოს მატერიალური და კულტურული ღირებულებანი“.

პარტიული ცხოვრება

პარტიის და კომკავშირის დაახლოვებისათვის

ყველა რაიკომებს

თანახმად ტფილისის კომიტეტის დადგენილებისა, 21 იანვრიდან იწყება პარტიის ახალგაზრდათა კომკავშირთან დაახლოვების კვირეული.

ამ „კვირეულით“ უნდა დაიწყოს მჭიდრო კავშირი პარტიასა და კომკავშირს შორის და უნდა ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი შეერთებულ მუშაობას. ამ „კვირეულის“ განმავლობაში პარტიის თვითეული წევრი უნდა გაეცნოს კავშირის ამოცანებს და შეიგრძნოს ის ამოცანები, რომელიც დაკისრებული აქვს მას და მთელ პარტიას თავისთვის ღირსეულ შემცვლელთა კადრის მომზადების საქმეში.

პარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის დაახლოვების კვირეულის გატარების დროს საჭიროა იხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით:

1. მთელ გასატარებელ მუშაობის ყურადღების ცენტრათ საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის დაახლოვების კვირეულის განმავლობაში უნდა იყოს საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის საფაბრიკო-საქარხნო უჯრედები. მათ დაახლოვებას, ურთიერთ შორის დამოკიდებულების ამოცანების გამორკვევას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

2. როგორც პარტიის, ისე კომკავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ამ „კვირეულის“ გატარების დროს უნდა მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ ეს „კვირეული“ აშენონ როგორც კომკავშირის, ისე პარტიის წევრების ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობაში უშუალო ჩაბმაზე.

3. გასატარებელ „კვირეულის“ განმავლობაში მოწყობილი იქნება შემდეგი კრებები და სხდომები: უჯრედების ბიუროების შეერთებული სხდომები, საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთა შეერთებული კრებები, ახალგაზრდათა კომკავშირის საერთო რაიონული კრებები პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის აქტიურ მუშაკთა სხდომები.

4. ორშაბათს, 21 იანვარს (ერთიან საკავშირო დღის) მოწყობილი იქნება საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედების შეერთებული სხდომები შეერთებულ სხდომაზე დასმული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: „პარტია და კავშირი“ და საკითხები შრომისა, ყოფა-ცხოვრებისა და მუშათა ახალგაზრდობის დაარსების შესახებ, როგორც ამ საკითხის საერთო ფარგლებში, ისე, უმთავრესად, ამა თუ იმ წარმოების ფარგლებში, და საკითხები შრომის დაცვის მუშაობის გაძლიერების და მუშათა ახალგაზრდობის ცხოვრების და ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

5. პარტიულ უჯრედის კრებაზე, რომელიც უნდა მოეწყოს „კვირეულის“ განმავლობაში, დასმული უნდა იქნეს ანგარიში ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობის შესახებ ამა თუ იმ წარმოებაში და მისი მუშაობის უახლოეს გეგმის შესახებ. აქვე უნდა მოხდეს პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება მუშაობის გაძლიერებისათვის ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედში. ამავე კრებაზე წაკითხული უნდა იქნეს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის წერილი პარტიის ყველა წევრების მიმართ.

6. უჯრედების კრებების გარდა „კვირეულის“ განმავლობაში მოწყობილი იქნება აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთა რაიონული კრებები კომპარტიის წარმომადგენლებთან ერთად. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ამ კრებებზე ხდება კომკავშირელების საზეიმო გადაყვანა პარტიაში. კრების დანარჩენი ნაწილი მიძღვნილი უნდა იქნეს პარტიის იმ ძველი წევრების მოგონებებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ 1905 წ. რევოლიუციაში.

შენიშვნა: კომკავშირელების გადარიცხვა პარტიაში წინასწარ უნდა იყოს მომზადებული, ყველა ფორმალური მხარეები დაცული უნდა იქნეს.

7. პარტიის და კომკავშირის და მათ აქტიური მუშაკების შორის კავშირის დამყარების მიზნით, „კვირეულის“ ერთერთ დღეს კომკავშირის აქტიურ მუშაკთა საერთო საქალაქო კრებაზე, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელი აკეთებს მოხსენებას სათანადო პარტიულ ორგანოს მუშაობის და პარტიულ ორგანიზაციის უახლოეს მუშაობის შესახებ; ასეთი მოხსენებები გაკეთებული უნდა იყოს მომავალშიც თვეში ერთხელ მაინც.

8. საქართველოს კომპარტიის და საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის დაახლოვების „კვირეულის“ ერთ-ერთ დღეს გაზეთ „მიწის მუშის“ და „რაბოჩაია პრავდას“ ნომერი მიძღვნილი იქნება საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობისათვის.

9. „კვირეულის“ განმავლობაში პარტიის კომიტეტები სინჯავენ კომკავშირის კომიტეტების აპარატებს, კომკავშირის კლუბებს, საფაბრიკო საქარხნო მოწაფეების სკოლებს და იმუშავებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს საქმის დაყენების გაუმჯობესებისათვის გასინჯულ დაწესებულებებში.

10. „კვირეულის“ განმავლობაში პარტიული ორგანიზაციები იღებენ ყველა ზომებს კომკავშირისათვის მატერიალური დახმარების გაძლიერებისათვის, ისეთი პირობების შექმნის გზით, რომელნიც უზრუნველყოფენ მის აღმზრდელობითი მუშაობას (დახმარების გაწევა უნდა სწარმოებდეს როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე ძალების მიწოდებით კლუბების და პოლიტიკურ ცოდნის სკოლების მოწყობისათვის) გამოყოფილი უნდა იქნენ პარტიის თეორიულად მომზადებული წევრები და მიმაგრებული უნდა იქნენ მუშაობისათვის კომკავშირის კლუბებში, მის წრეებში და პოლიტიკურ ცოდნის სკოლებში.

11. ამ „კვირეულის“ შემდეგ საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან ერთად იმუშავებს კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მუშაობის გეგმას შემდეგი პერიოდისათვის; ეს გეგმები შეთანხმებული უნდა იქნენ პარტიულ ორგანიზაციის მუშაობასთან.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მდივანი
რუბენი.

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი
ლომინაძე.

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე კონფერენცია

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გამო

(18 იანვრის დილის სხდომა)

ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვა

ახალი ეტაპი.

მოსკოვი. 19 იანვარი. 18 იანვარს დილის სხდომაზე გამოვიდა ამხ. პრეობრაჟენსკი: „1921 წელს ჩვენ მოვახდინეთ სავსებით ერთსულოვნად გადახრა ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ... ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენ გავიარეთ ახალი ეტაპი. ჩვენ სტიქიურად ვავითარებდით საწარმოვო ძალებს ჩვენს მეურნეობაში. საქმე თავისით მიდიოდა, შარშანდელი წელი წარმოადგენს გარდატეხის წელს. უკვე გაზაფხულზე ჩვენ ვამჩნევთ გასაღების კრიზისის დასაწყისს და „მაკრატლის“ წვერების დაშორების აშკარა ნიშნებს. მეთორმეტე ყრილობაზე მიღებული იყო რეზოლიუცია მრეწველობის შესახებ, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული ის ცვლილებანი, რომლებიც უნდა მომხდარიყო შინაპარტიულ დარგში. თანდათან იწყო ზრდა შინაპარტიული პოლიტიკის პარტიის ამოცანებთან შეუთანხმებლობამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ამხ. ლენინის მიერ მუშაობის შეწყვეტის დროიდან ცეკამ დაუშვა რამოდენიმე დიდი შეცდომა. გამოდიან რა 46-ის დოკუმენტით, ისინი, რომლებმაც ხელი მოაწერეს მას, აშკარად და გარკვევით სვამენ ორ ამოცანას: მუშათა დემოკრატიაზე გადასვლა და მეურნეობის უფრო გეგმიანი სისტემის შემოღება.“

ამხ. პრეობრაჟენსკის შეცდომად მიაჩნია ის, რომ ეს არ მოხდა უფრო ადრე. „ჩვენი რეზოლიუცია მუშათა დემოკრატიის შესახებ—ლაპარაკობს ის—ცეკას პლენუმის მიერ უარყოფილ იქნა ისევე, როგორც თვით საკითხის დასმა გეგმიანი მეურნეობის გაძლიერების შესახებ. შემდეგ ამბები ვითარდებოდენ სტიქიურად დისკუსიის დროს პარტიის შიგნით მოხდა როგორღაც გადახრა, სავსებით მოულოდნელი ცეკასთვის. როდესაც გაჩაღდა დისკუსია, მაშინ ცეკამ წამოაყენა ლოზუნგი, რომ ოპოზიცია არის მენშევიკური გადახრა, რომელიც მომავალში ითამაშებს არქიუარყოფით როლს, რამაც დააშინა პარტია და გამოიწვია მთელი რიგი მეორეხარისხოვან შეცდომებისა.

ცეკას მიერ 5 დეკემბერს მიღებულ რეზოლიუციის შესახებ ჩვენში თითქმის არავითარ უთანხმოებას ადგილი არ აქვს, თუ არ ჩავთვლით პუნქტს ზევიდან დანიშვნის შესახებ, რომელიც შედგენილია არა სავსებით მუშათა დემოკრატიის აზრით. ცენტრალური კომიტეტის შეცდომათა საერთო დახასიათებაა: ცეკა იჩენს დიდ კონსერვატიულობას, საკმაოდ ვერ ითვალისწინებს პარტიაში მომწიფებულ პროცესებს, იჩენს ნაწილობრივ სიმხდალეს გადაწყვეტილებების მიღებაში ახალი გადახრის გატარების შესახებ, სანამ თვით სტიქია არ აიძულებს გაატაროს და გააკეთოს სწორეთ ის, რაც მომწიფდა. თუ ცეკა სთვლიდა ამხ. ტროცკის გამოსვლას წერილით შეცდომათ, მას უნდა მოეწვია პოლიტბიურო, გამოეტანა ნორმალური გადაწყვეტილება და ეცნობებია ეს პარტიისათვის. ამის მაგიერ გამოვიდა ამხ სტალინი, რასაც შედეგად მოჰყვა საერთო სახელის გატეხა“.

ამხ. პრეობრაჟენსკის პოლიტბიუროს მთავარ შეცდომათ მიაჩნია მისი დამოკიდებულება ტროცკისადმი—ის, რომ ის ახასიათებს ტროცკის როგორც უცხოს (**чужак**). ბოლშევიზმი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ბიუროკრატიზმს, ის დაკავშირებულია მასებთან აქტიურად და ნამდვილად. მოჰყავთ პარტიის ისტორია, რათა გაამართლონ რამოდენიმე ასეული ბიუროკრატი ჩვენს აპარატში. პარტია ამაოდ დააშინეს მთლიანობის დარღვევაზე მითითებით. ჩვენი პარტიის არსებობის 6 წლის განმავლობაში არც ერთი ჯგუფი არ გამოსულა პარტიიდან. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენს წინაშე ნათელი პერსპექტივები. ჩვენ მოვითხოვთ 5 დეკემბრის რეზოლიუციის შესრულებას და ამას გარდა მოვითხოვთ გაკიცხვას ბრძოლის იმ მეთოდების, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დისკუსიის დროს და რომელიც ნიშნავს ბიუროკრატების ბრძოლას ჩვენს აპარატში პარტიის ზრდის და განვითარების წინააღმდეგ.

ოპოზიციაში გარკვეულობა არ არის

ამხ. ლომინაძის სიტყვა.

ამხ. ლომინაძე აღნიშნავს, რომ პარტიის 10 ყრილობაზე ჩვენ შევსძელით გამოგვენახა თვითეული პლატფორმისათვის ნიადაგი. დღეს საქმე სხვანაირად არის. ჩვენ არ გვესმის არავითარი გარკვეული წინადადებები, რომლებსაც ვინმე ბოლომდის იცავდეს. პრეობრაჟენსკიმ დაასრულა წინადადებით, გავატაროთ ცეკას რეზოლიუცია და გავკიცხოთ ყველა ის, ვისაც არა სურს მისი გატარება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ არ არის გარკვეული პოზიცია. ამხ. პრეობრაჟენსკი უჩივოდა იმას, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციის სოციალურ ნიადაგის განსაზღვრის დროს მაგრამ თვით ოპოზიციაშია აზრთა სხვადასხვაობა წინადადების წარმოდგენის დროს.

აქ ბრალდება წაუყენეს ამხ. პიატაკოვს და კრასინს, რომ ისინი საჭიროთ სთვლიან უკან დაიხიონ იმ პოზიციებიდან, რომლებსაც ჩვენ ვიცავდით გენუას კონფერენციაზე. ეს ბრალდება ყველაზე მძიმეა. მაგრამ პიატაკოვი და კრასინი არ შეეცადენ ამის გაბათილებას, მაშასადამე იზიარებენ ამ თვალსაზრისს. არ აქვს რა თავისი საკუთარი წინადადებები, დღევანდელი პოზიცია აერთიანებს ყველა მიმდინარეობებს და ჯგუფებს რომლებიც განწყობილნი არიან პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს წინააღმდეგ. ეს არის შინაპარტიულ ბრძოლის ახალი ფორმა. არც რევოლიუციამდე და არც რევოლიუციის დროს არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, როცა ოპოზიციას შესძლებოდა წარმოედგინა გარკვეული პლატფორმა, იგი უბრალოთ აერთიანებდა ყველას, ვინც მომხრეა პარტიის რეორგანიზაციისა მენშევიკურ სტილით. ყველა ამ ანტიპარტიულ მიმდინარეობათა გაერთიანება—არის ჩვენი პარტიის წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების ბუნტი, პროლეტარულ პოლიტიკის, ჩვენი პარტიის პროლეტარულ ხაზის წინააღმდეგ.

ამხ. იაკოვლევის სიტყვა.

მუშათა ახალგაზრდობის შორის მუშაობის პრინციპები.

ამხ. იაკოვლევი ამბობს: „თუ ჯგუფების უარყოფის დროს ჩვენ შევსძლებთ ახალგაზრდობის შორის მუშაობის იმგვარად წაყვანას, რომ ყურადღების ცენტრათ გავხადოთ მუშათა კლასთან კავშირის და გლეხობაზე პოლიტიკური ზეგავლენის საკითხი, ჩვენი პარტია მართლაც მთლიანი, ბოლშევიკური, ფოლადისებური, ლენინის პარტია იქნება.“

ამხ. რიაზანოვის სიტყვა.

გაუმარჯოს ჩვენ წინამძღოლს—რუსეთის კომპარტიის ყრილობას.

ამხ. რიაზანოვი ფიქრობს, რომ მუშათა დემოკრატიაზე ლაპარაკი კომუნისტურ პარტიის შიგნით შეუძლიათ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ ესმით მარქსიზმი და დაავიწყდათ მისი ანბანი. პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში კომუნისტურ პარტიაში არ შეიძლება მიმალოს მუშათა დემოკრატია. ასეთი მუშათა დემოკრატია მოგვაგონებს გლეხურ დემოკრატიას. შინაპარტიულ დემოკრატიის უჯრედებმა. 346 მუშა მთავარი მოთხოვნილებაა, რომ პარტიის წევრის უფლებას და მოვალეობას შეადგენს გამოსთქვას თავისი აზრი პარტიულ ცხოვრების ყველა საკითხებში. მაგრამ არჩევნების საკითხი ჩვენ არასოდეს წინ არ წამოგვიყენებია. პარტიამ იცის, რომ უმაღლეს ინსტანციაა პარტიული ყრილობა და მის მიერ არჩეული ცეკა. ძირს „წინამძღოლობის კანდიდატები“ გაუმარჯოს კომპარტიის ყრილობას და ცეკას!“

ამხ. მელნიჩანსკის სიტყვა.

ამხ. მელნიჩანსკი აღნიშნავს, რომ მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედებიდან ოპოზიციას ხმა მისცა, უმთავრესად, უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებმა. 346 მუშათა უჯრედებიდან მხოლოდ 67 მისცა ხმა ოპოზიციას. დემაგოგიას, რომელსაც აწარმოებდა ოპოზიცია უჯრედებში, ადგილი არ ჰქონია ძველ რიგებში. აქ ისინი აცხადებდენ, რომ ცეკას აზრი საერთოდ სწორია, მაგრამ მიდიოდენ რა უჯრედებში, ყოველის მხრივ სცდილობდენ სახელი გაეტეხათ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის.

ამხ. რადეკის სიტყვა.

ამხ. რადეკი შეჩერდა სამ მომენტზე. პირველი მომენტი,—როდესაც პარტიის 10-ე ყრილობაზე ილიჩმა „მუშათა ოპოზიციის“ სასტიკი გაკრიტიკების შემდეგ განაცხადა, რომ ოპოზიციამ ჩვენ მაინც ხელი შეგვიწყო ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ეხლანდელი დისკუსიის საფუძველი არის ეკონომიური პროცესები ქვეყანაში, რომელნიც გვემუქრებიან ჩვენ. ვინც ასეთ დასკვნას არ აკეთებს დისკუსიიდან, ის ამტკიცებს, რომ ის ამ საშიშროებას ან ვერ ხედავს, ანდა არ უნდა დაინახოს. მეორე მომენტი,—ეს არის შეხედულებების სისტემა შინაპარტიულ მდგომარეობაზე, რომელსაც უმრავლესობა ატარებს. 5 დეკემბრის დოკუმენტი არის შედეგი იმის, რომ წინააღმდეგობათა პირობებში და 400 000 წევრით პარტიას არ შეუძლია ხაზის არც სწორი დასმა და არც მისი გატარება ქვედა ორგანოების დაუხმარებლად. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ არსებულ პირობებში არადემოკრატიული გზით წაყვანა პარტიის ჩვენ არ შეგვიძლია. ამხ. სტალინმა თავისი სიტყვის ნახევარი უძღვნა ტროცკის ექვს შეცდომას და გაათავა ეს ანალიზი პარტიის მე-10-ე ყრილობის რეზოლიუციით. თუ მდგომარეობა ეხლა ისე საშიშია, რომ აუცილებელია ამ გადაწყვეტილების მიღება, მაშინ თქვენ უფლება გაქვთ ასე მოიქცეთ. ჩვენ დავადექით დაშინების გზას. პარტიას ექნება საკმაო სიმშვიდე და გამბედაობა, რომ ცეკას უმრავლესობამ გაასწოროს შეცდომები, რომელთაც მე ეხლა ვხედავ. თუ ოპოზიცია საზღვარს გადასცდა, ეს მისი შეცდომაა; უმრავლესობამ არ უნდა გაიმეოროს ოპოზიციის შეცდომები. (დასასრული არ არის მიღებული).

ამხ. ლაშევიჩის სიტყვა.

ამხ. ლაშევიჩი აღნიშნავს, რომ პრეობრაჟენსკიმ დაუწია ტონი. ის შეტევას კი არ აწარმოებდა, არამედ თავს იცავდა. საპრონოვი წინასწარმეტყველებდა და იმუქრებოდა. რადეკმა წარმოადგინა ყაზანის ობოლი. პრეობრაჟენსკიმ საქმე წარმოადგინა ისე, რომ ეხლა გამეფებულია პანიკა, რომელიც შედეგია ქვედა ფენების და 46-ის ძალდატანებისა, და ამ პანიკის გამო ცეკა, თითქოს, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება. ეს რომ სიმართლეს შეეფერებოდეს, მაშინ ასეთი ცეკა ჩვენ უნდა გაგვერეკა. ამხ. პრეობრაჟენსკი ისე გვიხატავს საქმეს, რომ მათ არ უნდოდათ ფრაქცია, მაგრამ ისინი აიძულეს ასე მოქცეულიყვნენ. ჩვენ ვიცით რა და როგორ ხდებოდა დაწყებული 46-ის წერილით და გათავებული ოპოზიციის გამოსვლით მოსკოვში. ვრაჩოვს წამოსცდა, თუ როგორ იკრიბებოდენ ოპოზიციონერები მე-10-ე ყრილობაზე და მსჯელობდენ, თუ როგორ დაეცვათ თავი. საპრონოვი ბრალს გვდებდა ჩვენ „კაზიონურ“ ოპტიმიზმში. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, ვიცით ისიც, რომ პარტიას მოელის დიდი მუშაობა. ჩვენში ოპტიმიზმს არ აქვს ადგილი.

საპრონოვს აქვს ხლესტაკოვშჩინის 100 პროც. მან, საუცხოვოთ იცის არითმეტიკა. მან გამოიანგარიშა, რომ მოსკოვის ორგანიზაციის 50 პროცენტი ოპოზიციას ეკუთვნის, აქედან ის დასკვნას აკეთებს: ვინაიდან 50 პროც. ოპოზიციას ეკუთვნის, არის საფუძველი განვაგრძოთ შეტევა და დავიპყრათ კიდევ 50 პროც.

რადეკიც აგრეთვე ჩვენს „კაზიონურ“ ოპტიმიზმზე ლაპარაკობს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ მივიღეთ პიატაკოვის შესწორებები. ჩვენ გვაქვს ცოტაოდენი ნიადაგი შინაპარტიულ დემოკრატიის სფეროში, ეკონომიკის საკითხში კი თქვენ პირდაპირ ჭაობში ჩავეფლით. რადეკს თვითონ არ მიუცია ხმა პიატაკოვის შესწორებებისათვის. რადეკი ემუქრებოდა რომელიღაც კრებებზე, გამოჰქონდა რეზოლიუცია, ამბობდა: „გავათავოთ ლაპარაკი შინაპარტიულ დემოკრატიაზე ვილაპარაკოთ ეკონომიურ ამოცანების შესახებ და იქ გამოვიჩინოთ თავი“. მაგრამ წყანწყარამ ცეცხლი ვერ წაუკიდა ზღვას და ის დიდის გაქანებით ჭაობში ჩაეშვა.

ამხ. თარხანოვის სიტყვა

ამხ. თარხანოვი იუწყება, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დისკუსიის საკითხში სავსებით ეთანხმება ადგილობრივ მომუშავე ამხანაგების აზრს.

ამხ. ტროცკის წერილების ზოგიერთი ადგილები განზრახ ისე იწერებოდა, რომ მათი გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა.

ასე არ უნდა დაეწერა ამხ. ტროცკის თუ მას უნდოდა, რომ ყველას გაეგო რის თქმა უნდოდა მას.

ამხ. ტროცკის მრავალჯერ წაუყვანია ახალგაზრდობა ბრძოლაში, გამარჯვებისაკენ. ჩვენ ყურადღებით ვისმენთ იმას, თუ რას ამბობს ის.

ის აყენებს საკითხს ძველი გვარდიის შესახებ.

საუკეთესო გარანტია მისი ოპორტუნისტებათ გადაგვარების წინააღმდეგ არის მისი 25 წლის ბრძოლა, რომელსაც ის აწარმოებდა ოპორტუნიზმთან.

განსხვავება მარქსისტ კაუცკისა და მარქსისტ ლენინის შორის იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ძველი რევოლიუციონური ბოლშევიკური გვარდია, კაუცკისაგან განსხვავებით, შესდგებოდა არა მარქსის რევიზიონისტებისა და კომენტატორებისაგან, არამედ ბრძოლის ორგანიზატორების მარქსის იდეებისათვის მებრძოლთაგან.

ბოლშევიკებმა შექმნეს მებრძოლი ორგანიზაცია, ნამდვილი პროლეტარული პარტია. ეს საუკეთესო გარანტია არის იმის რომ, ის, რაც დაემართა კაუცკის, რომელმაც რევიზიონისტებთან ბრძოლაში დასთმო მარქსიზმის ცხრა მეათედი, არ დაემართება ჩვენს გვარდიას.

მეორე საკითხი—ახალგაზრდობის შესახებ. პარტიულ ახალგაზრდობას უყენებენ ამოცანას: საშუალება არ მისცენ „მოხუცებს“ გადაგვარდენ ოპორტუნისტებათ...

საკითხის ასე დაყენება რომ შეცდომაა, აშკარაა.

1916 წელს ახალგაზრდობის ძველი ინტერნაციონალის რევოლიუციონურმა ელემენტებმა ბრძოლა გამოუცხადეს სოციალ-პატრიოტებს და წამოისროლეს ლოზუნგი: „ძირს ომი“.

ეს ნიშნავდა, რომ ინტუიციით ისინი სწორ გზაზე დადგნენ. მაგრამ საჭირო იყო ძველი გვარდიის ისტორიული გამოცდილება. ამხ. ლენინი მივიდა მათთან და უთხრა: „ეს კარგია, რომ თქვენ სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგი ხართ. მაგრამ ეს ცოტაა, რომ თქვენ განიარაღების მომხრე ხართ“. ჩვენ ვართ არა გრძნობის სოციალისტები, არამედ კომუნისტები—მეცნიერებისა და ბრძოლის სოციალისტები.

ჩვენ ვამბობთ, რომ მთავარი, რაც საჭიროა რევოლიუციონური ახალგაზრდობის აღსაზრდელათ—ეს არის კავშირი და ძველსა და ახალ გვარდიის შორის.

ახალგაზრდობის როლი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დიდია. ილიჩს ახალგაზრდობის როლი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც დახმარება სახელმწიფო აპარატისათვის.

ოპოზიციამ საკითხი სხვანაირად დააყენა: „დაამსხვრიე აპარატი, რადგან შენ უკეთესი ხარ ვიდრე ეს პარტია“.

ჩვენ გვსურს დავეხმაროთ აპარატს და ვიცით, რომ ამ მუშაობას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ პრაქტიკულად უდგებით საკითხს ახალი კურსის შესახებ.

ახლა პარტიის კარები ფართედ იღება მუშებისათვის. კომუნისტურმა ახალგაზრდობამ სამოქალაქო ომის პერიოდში მრავალი მეთაური და კომისარი მოუმზადა წითელ ჯარს.

ახლა მის წინაშე დგას პარტიულ სამეურნეო მუშაკების აღზრდის ამოცანა.

კომკავშირში მრავალი მშრომელი ახალგაზრდაა, რომელიც დაზგასთან მუშაობს და შეთვისებული აქვს კომუნისტური ცოდნა.

ჩვენ ვეუბნებით პარტიას: „წაიყვანეთ ეს მშრომელი ახალგაზრდობა. მათგან მრავალ სასარგებლო მუშაკს მიიღებთ“.

პარტიამ და კავშირმა უნდა მოხერხონ ახალგაზრდობის ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში.

საუკეთესო გზა იქნება თუ მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა დაადგება საერთო პარტიულ ხაზზე.

კომუნისტური მუშური ახალგაზრდობა შესძლებს მთლიანი, მონოლიტური პარტიის დაცვას, რომელიც 25 წლის განმავლობაში გამოსჭედეს ჩვენმა მეთაურებმა.

ამხ. კუბიაკის სიტყვა.

ამხ. კუბიაკი მიუთითებს, რომ პარტიულ კონფერენციას უფლება აქვს მოსთხოვოს პასუხი იმ ხალხს, რომლებიც სამი თვის განმავლობაში ანჯღრევდენ პარტიას და ძირს უთხრიდენ მის ავტორიტეტს მუშებსა და გლეხებს შორის.

ვფიქრობდით, რომ ისინი მოვლენ აქ და მიგვითითებენ ამა თუ იმ ხაზზე. მაგრამ პრეობრაჟენსკი და საპრონოვი მოგვიყვენ მოსკოვის დისკუსიის შესახებ. ჩვენ გვინდა პასუხი იმ დოკუმენტზე, რომელსაც გაეცნო პარტია—46 დოკუმენტი და ამხ. ტროცკის წერილი. მხარს უჭერთ თქვენ მას თუ არა?

რადეკი აცხადებს, რომ ცეკამ ვერ მოახერხა გამოეყენებია ოპოზიცია. რადეკი ამბობს, რომ ამხ. ტროცკი კარგი კაცია. მაგრამ თუ კარგი კაციც სცდება, მაშინ პარტიამ მას ყური უნდა აუწიოს. ლაპარაკობენ ზოგიერთ ამხანაგების თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. რა არის ამაში საშინელი? ჩვენ ვანახლებთ და მომავალშიც განვაახლებთ აპარატს.

ამხ. რინდინის სიტყვა.

ამხ. რინდინი აღნიშნავს, რომ ურალზე დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ ამხ. პრეობრაჟენსკის, მაგრამ ეს პატივისცემა შეირყა, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა ოპოზიციას. ჩვენ გვინდა გამოვლანძღოთ პრეობრაჟენსკი, რომ მან თავი დაანებოს ცარიელ კინკლაობას. ჩვენ ურალზე ვფიქრობდით, რომ საქმე მართლაც სერიოზული იყო. მაგრამ როდესაც ჩვენ ჩამოვედით აქ და მოვისმინეთ პიატაკოვი,—გავიგეთ, რომ მის თავში ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი „ჩამოყალიბებული“. დემოკრატიის საკითხის შესახებ ოპოზიცია ეთანხმება პოლიტბიუროს რეზოლიუციას. რაც შეეხება ტროცკის გამოსვლას, რომელმაც მხარი დაუჭირა უპრინციპო ოპოზიციას, ჩვენთვის—რაიონების და ქარხნების პატარა მუშაკებისათვის ძნელია ამხ. ტროცკის გამართლება. მაგრამ ჩვენ ჩვენი პროლეტარული ლოღიკის მიხედვით არასოდეს არ მოვიხრით ქედს ავტორიტეტის წინაშე, როდესაც მას პარტია მიჰყავს დიდ უთანხმოებამდი და განხეთქილებამდი. ჩვენ ამ არევდარევაში ვერკვევით, თუმცა არც ისეთი მცოდნენი ვართ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ პარტია მკვდარია. ერთი წლის განმავლობაში ურალის მთელ რიგ ორგანიზაციებმა, სახელდობრ ჩუსოვის, მოტოვილიხის და სხვა ორგანიზაციებმა 120—150 პროცენტი შეავსეს თავისი რიგები დაზგის მუშებით. ეს ამტკიცებს იმას, რომ პარტია არ არის მკვდარი.

ამხანაგებმა მთელი თავისი ოპოზიცია ააშენეს უმაღლეს სასწავლებლებზე. ეს შეცდომაა.

ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ამხ. პრეობრაჟენსკი რამოდენიმე ხნით გამგზავრებულიყო ურალზე. ჯერ კიდევ იატაკის ქვეშ ამხ. პრეობრაჟენსკი ასწავლიდა ურალელებს ისწავლათ ამხ. ლენინისაგან და პატივი ეცათ მისთვის. ეხლა ჩვენ ვურჩევთ მას ისწავლოს ამხ. ლენინისაგან. ჩვენი ბელადების—„აპარატჩიკების“ ოპორტუნიზმის შესახებ უნდა ვსთქვათ: ღმერთმა მისცეს მთელი ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს ისეთი ოპორტუნისტული ცეკა, როგორც ჩვენ გვყავს“.

ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვა.

ამხ. პრეობრაჟენსკი ამბობს: „მთავარი საკითხი, რომელიც სდგას პარტიის წინაშე, მდგომარეობს შემდეგში: ვართ თუ არა ჩვენ ჩვენი პარტიის ერთი ჯგუფი, რომელნიც გამოვედით 46-ის დოკუმენტით— პოლიტიკურათ გაკოტრებულნი, თუ

ჩვენ ვაკეთებთ ჩვენი პარტიისათვის ობიექტიურათ აუცილებელ სამუშაოს? ჩვენ მოვითხოვდით უფრო მეტ გეგმიანობას. ეს შეტანილია ცეკას რეზოლიუციაში.

ჩვენი უთანხმოება შენელდა. ეხლა ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ გეგმიანობის და შინაპარტიულ დემოკრატიის კურსის გატარების დროს, როგორც ეს განზრახულია, ჩვენ მივიღებთ პარტიაში მშვიდობიანობას და ყოველგვარ ჯგუფების გაქრობას რეპრესიულ ზომების გარეშე".

პრეობრაჟენსკი გაფრთხილებას იძლევა იმის შესახებ, რომ ხმარებული არ უნდა იქნეს მექანიკური ზეგავლენა, რადგან ეს მოახდენდა გარდატეხას, რომელიც დაყრდნობილი იქნება უნდობლობაზე; პრეობრაჟენსკის აზრით, არ უნდა იქნეს აგრეთვე შექმნილია ხელოვნურათ ავადმყოფური შინაპარტიული ატმოსფერა. „ამხ. სტალინს—ამბობს პრეობრაჟენსკი—მოყავს ციტატები ახალგაზრდა სტუდენტების სიტყვებიდან; ეს სტუდენტები ითვლებიან პარტიის წევრებათ. მას მოყავს ცალკე ამხანაგების ცალკე გამოთქმები; ეს ამხანაგები ასე ლაპარაკობდენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ მიუღიათ ნამდვილი პარტიული აღზრდა. პარტიის ის ნაწილი, რომელმაც წინეთ ყურადღება მიაქცია პარტიის ბიუროკრატიულ რეჟიმს, ახლა ყურადღებას აქცევს იმ საშიშროებას, რომელიც მოელის სახელმწიფო მეურნეობას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მხრივ. თუ ერთს შევადარებთ მეორეს, დავინახავთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ პარტიის იმ ნაწილს, რომელსაც უნდა მოახდინოს მობრუნება ისეთ ფარგლებში, რომელშიაც ის მომწიფებულია. თუ რეჟიმი არ შეიცვლება 5 დეკემბრის რეზოლიუციის თანახმათ, მაშინ ეს მაჩვენებელი იქნება იმის, რომ პარტიაში აღმოცენდება ახალი კრიზისი, რომელიც მექანიკური ზეგავლენით ოპოზიციის წინააღმდეგ სწრაფათ განვითარდება და მახინჯ ხასიათს მიიღებს. ამის შედეგი კი იქნება ახალი შეხლა-შემოხლა. ძირს გამთიშავი სულიერი განწყობილება, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად

მოსკოვი. 21 იანვ. ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია გადადის ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციის-ათვის კენჭის ყრაზე: ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად. თავი არავის შეუკავებია.

კონფერენციის დახურვა

ამხ. კამენევის სიტყვა

ჩვენი პარტია მთლიანი ფოლადის ორგანიზმია.

მოსკოვი, 21 იანვ. რ. კ. პარტიის მეცამეტე კონფერენციის დახურვის დროს ამხ. კამენევმა სთქვა:

„კონფერენციის მუშაობა დასრულდა. ჩვენი პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურის თავისებურ პირობებში, ქვეყანაში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას პროლეტარიატი არ შეადგენს.

მერყეობა ამ პარტიის გარეშე მდგომ ფენებში აუცილებელია და ასე თუ ისე გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის მერყევ ელემენტებზე. ამ რყევას ჩვენ არა ერთხელ განვიცდით.

თითეული მობრუნების დროს, თითეული რთული ამოცანის დაყენების დროს ისინი თავს იჩენდენ და იჩენენ და ყოველთვის აძლევენ სიხარულის საბაბს ჩვენს შინაურ კლასობრივ მტრებს და საერთაშორისო ბურჟუაზიას.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დაწყებულმა დისკუსიამ იმედები გაუღვივა ჩვენს მტრებს შიგნით და საბჭოთა კავშირის გარეთ.

კონფერენციას ჯამი უნდა გაეკეთებია იმ შემოწმებისათვის, რომელიც პარტიამ ერთხელ კიდევ მოახდინა ბოლომდი თავისი გზის სისწორის და მიმართულების სიმტკიცის გამოსარკვევად.

კონფერენციამ ერთსულოვნად დამტკიცა მორიგი სამეურნეო ამოცანების შესახებ, რეზოლიუციის ერთხმად მიღებით, რომ მას უჭირავს კურსი სოციალისტური მშენებლობისაკენ.

შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ ც. კ. რეზოლიუციის ასევე ერთხმად მიღება ამტკიცებს, რომ ამ საკითხშიც ჩვენ შეკავშირებული ვართ.

მერყეობა, რომელმაც თავი იჩინა პარტიაში, გარდამავალი მოვლენა არის, პარტია შესძლებს მორიგი ამოცანების ერთსულოვნად გადაჭრას.

ამ სიმტკიცის საფუძველი, რომელიც ცხადყო კონფერენციამ, მდგომარეობს პირველყოფილისა მუშათა კლასის—ჩვენი დიქტატურის მთავარი ძალის—კულტურულ ზრდაში.

მეორე მხრით, სიმტკიცის საფუძველი მდგომარეობს იმაში, პროლეტარიატის დიქტატურის სამეურნეო ბაზა, მტკიცეა, როგორც არასოდეს.

საერთაშორისო ბურჟუაზია ჩქარა დაინახავს, რომ კომუნისტურმა პარტიამ არა თუ გამოიყვანა რუსეთი ნგრევის პერიოდიდან, არამედ შესძლო მუშათა კლასის და გლეხობის დახმარებით დაეწყო აშენება სახელმწიფოსი, რომელიც უფრო მტკიცეა, უფრო მთლიანია, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფო მსოფლიოში.

ახლა პარტიამ სთქვა თავისი სიტყვა.

ეს ხმა მთელს რუსეთში გაისმება.

საერთაშორისო პროლეტარიატი და რუსეთის მუშათა კლასი დაინახავს, რომ ჩვენ, როგორც პარტია ვიზრდებით და ჩვენთან ერთად იზრდება აყარებული, შავი, ყოველდღიური მუშაობა სოციალიზმის ასაშენებლად.

ამხ. ლენინი დაუბრუნდება ხელმძღვანელობას

ახლა, როცა კონფერენციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიის ხაზი, ჩვენ შეგვიძლია პარტიის ყველა წევრებს მოვუწოდოთ მუშაობისაკენ ც. კ. ხელმძღვანელობით, რომლის მოღვაწეობა პარტიამ ბოლომდის შეაჰოწმა და რომლის ხელმძღვანელობა მან მოიწონა.

ამ ცენტრალურ კომიტეტს დროებით არ ხელმძღვანელობს ამხ. ლენინი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა ამხ. ლენინი დაუბრუნდება პარტიის ხელმძღვანელობას, ის მოიწონებს ამოცანების იმ გადაჭრას, რომელიც მიიღო პარტიამ, თანახმად მისი პრინციპებისა, მისი არ ყოფნის დროს.

ვლადიმერ ილიჩი უკეთ არის როცა ის დაუბრუნდება ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტია და ც. კ. ასჯერ უფრო ძლიერი იქნებიან ვიდრე ახლა. მაგრამ ჩვენ ახლაც საკმაოთ ძლიერ ვართ იმისათვის, რათა განუცხადოთ მტრებს, რომ მათი იმედები დაშლაზე და განხეთქილებაზე, პარტიის შერყევაზე, უსაფუძვლოა, რომ ისინი მოტყუვდებიან, ისე როგორც არა ერთხელ მოტყუებულან.

რ. კ. პ. იქნება ისე, როგორც წინათ მთლიანი, ფოლადის პარტია, რომელიც მზად არის თავისი ისტორიული ამოცანების შესრულებისათვის (ტაში).

საკავშირო პარტიულ კონფერენციას დახურულად ვაცხადებ".

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ეპიდემია.

ბაქო. 20 იანვარი აზერბეიჯანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა სერიოზული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო დროს მაზრებში მძვინვარებს სახადი და ფილტვების გრიპოზული ანთება. საგანგებო ზომების მისაღებად დანიშნულია საგანგებო კომისია.

ბრძოლა სიფილისის წინააღმდეგ.

ბაქო. 20 იანვარი. აზერბეიჯანში სიფილისის წინააღმდეგ ბრძოლა საქმე წარმატებით მიდის. ჯანმრთელობის კომისარიატი მაზრებში აარსებს 5 ამბულატორიას, სახელდობრ: აღდაშის, აღდამის, ყუბის, ნუხის და ზაქათალის გზაში. დაარსდა მფრინავი მაზრაში. მაზრებში სასწრაფოდ იგზავნება მედიკამენტები და სხვ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(22—23 იანვარი)

ჩერვონცები — — 1.120,000 ათ.
გირ. სტერლინგ. ეფექტ. 1060,000
ჩეკები —1060.000
დოლარი ეფექ. 249 000
ჩეკები —237.000
ოსმალ. ქაღ. ლირა 150.000
იტალიური ლირა 10700
ფრანგული ფრანკი 11200
საბჭ. ფულის ნიშნები 15 ნახ.

მოსკოვის ფასები.
(21 იანვარი)

პური 1 ხარ. 5000 ათ., პური 2 ხარ. —4000 ათ. ძროხის ხორცი—20000 ღორის ხორცი—25000ათ. შაქარი რაფინადი — 46,350 ათ. ფხვნილი შაქარი—32,450 ათასი, ბრინჯი ალდ. 9270 ათ. კარტოფილი—1500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(21 იანვარი).

პური 1 ხარ.—8000 ათ., პური 2 ხარ. —6000 ათასი, ძროხის ხორცი 30000 ათ. ღორის ხორ. 30000 ათ. შაქ. რაფ. 48000 ათ., შაქარი ფხვნილი 33,500 ათ., ბრინჯი ალდ.—10000 ათ., კარტოფილი 2000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ცინკის უმარილი, სპილენძი (ფურცლოვანი) როსტოვის პაპიროსები საშენებელი ლურსმნები, ბამბა, ღვედები (აქლემის ტყავის) „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ჩაი რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ახანთი რუს., სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ), ცემენტი და ეტერნიტი, სალომასი, ქვა-მარილი ნახიჩ., „ხლებოპროდუქტ"-ის ნაწარმოები, მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება

შაბიამანი, მანუფაქტურა რუს. მაკარონი და ვერმიშელი, ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, რკინის გასაყრელები, რელსები, სპილენძის მილები, რკინეულობა, ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი.

ოფიციალური ფასები

შაბიამანი—7 მ. 80 კ. ფუთში, ფრანკო ვაგონი როსტოვი.

ფხვნილი შაქარი—10 მ. 65 კ. ფუთ. ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

ფქვილი (პურის) 2 მ 40 კ. ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ქვა მარილი ნახიჩევ.—59 კ. ფ. ფრანკო—სადგური ტფილისი.

შაბიამანი—8 მ. 75 კ.—ფრანკო, სადგ. ტფილისი.

მატყლის საწყობი—14 მ. ცალში. ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ყურაგა—3. მ. 50 კ. ფუთში და საზზა—5 მ. 50 კ. ფ. ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ხალიჩები—12 მ. ფ., ფრანკო გამყიდველის საწყობი.

კაუსტიური სოდა—5 მ. 40 კ. ფრანკო—გამყიდველის საწყოში.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი კვლავ მატულობს.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება
(22—23 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	—1.120 000,	60 კ.	— 67 200.000
2 „	—2 240.000,	70 „	— 78.400.000
3 „	—3 360.000,	80 „	— 89 600.000
4 „	—4.480.000,	90 „	—100 800.000
5 „	—5 600 000,	1 მ.	—112 000 000
6 „	—6 720.000,	2 „	—224.000.000
7 „	—7 840.000,	3 „	—336 000.000
8 „	—8 960 000,	4 „	—448 000.000
9 „	—10.080.000,	5 „	—560 000.000
10 „	—11.200.000,	6 „	—672 000.000
20 „	—22 400.000,	7 „	—784 000.000
30 „	—33.600.000,	8 „	—896 000.000
40 „	—44.800.000,	9 „	—1008 000.0 0
50 „	—56 000.000,	1 ჩერ.	1120.000.000

სახალხო განათლების პერსპექტივები საქართველოში

(განათ. სახ. კომ. ამხ. კანდელაკის მოხსენება განათ. კავ. ცენტრ. გამგეობის სხდომაზე)

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომაზე განათლების სახალხო კომისარმა ამხ. კანდელაკმა გააკეთა მოხსენება სახალხო განათლების პერსპექტივებზე საქართველოში. ამხ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ საქართველოს ალმასრულებელ კომიტეტის მიერ მიღებული და დამტკიცებული ბიუჯეტიდან განათლების საქმისათვის გადადებულია 51,82 პროცენტი რაც 4 705 000 მანეთს შეადგენს. ამ გარემოების წყალობით გასულ წელთან შედარებით სახალხო განათლების საქმე აუცილებლად საგრძნობლად უმჯობესდება.

სახალხო განათლებისთვის გადადებული თანხის ორი მესამედი მოხმარდება განათლების მუშაკთა ხელფასის გასტუმრებას. სახალხო განათლების კომისარიატს საშუალება ეძლევა კიდევ გააფართოვოს სახალხო სკოლების ქსელი.

ადგილობრივი ბიუჯეტები

საერთო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის გარდა, ადგილობრივი ალმასკომებმა სახალხო განათლებისთვის გადასდევს თავის ბიუჯეტის 13 პროცენტი.

მომავალშიაც მიღებული იქნება ზომები იმისთვის, რომ ალმასკომებმა გაადიდონ განათლების საჭიროებისათვის გადადებული თანხა, რომელიც უნდა დაუახლოვდეს წინად არსებულ 75 პროცენტს.

განათლების მუშაკთა ხელფასი.

ამ ჟამად განათლების მუშაკთა სამუშაო ხელფასი ძალზე დაბალია და მისი დარიგებასაც დიდ ხანს აგვიანდება, მომავლისათვის სრული გარანტიაა, რომ დაცული იქნეს ხელფასის თავის დროზე გასტუმრების რიგი. არის აგრეთვე შანსები, რომ ხელფასის რაოდენობა გადიდდება.

საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტს გადარჩენილი თანხა გადაეცემა სახ. განათლების კომისარიატს განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამას გარდა, განზრახულია, შავი ქვის მრეწველობიდან მიღებული მოგების რამოდენიმე პროცენტი გადაიდევს სახალხო განათლების მუშაკთათვის.

განათლების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი მორიგი ამოცანაა არა მარტო საქ. საბჭოთა რესპუბლიკისთვის, არამედ აზერბეიჯანის და სომხეთისთვისაც.

სახ. გან. კომ. მუშაობის მეთოდიური მხარე.

რაც შეეხება სახ. განათ. კომისარიატის მუშაობის მეთოდიურ მხარეს საკმაოდ ძლიერი ფონდების და მტკიცე ბაზის უქონლობის გამო, აუცილებელი ხდება ამ დარგში მუშაობის შენელება.

ამ ჟამად საქართველოს პროვინციებში ადგილი აქვს სკოლების არაბუნებრივ და სტიქიურ გამრავლებას, რის გამოც განათლების პროვინციალური მუშაკნი სავსებით და თავის დროზე ვერ კმაყოფილდებიან ხელფასით. ადგილობრივ საჭიროებისათვის არ არის აგრეთვე საკმაო ის თანხა, რომელსაც ცენტრი იძლევა.

განათლების სახალხო კომისარიატი ცდილობს, რაც შეიძლება პროვინციის სკოლათა ქსელი შეამციროს, ვინაიდან ადგილობრივ ალმასკომები, როგორც ზევით იყო აღნიშნული, საშუალებას მოკლებული არიან უზრუნველჰყონ ხელფასით განათლების მუშაკნი.

ამ ჟამად სახ. გან. კომ. ყოველი ღონისძიებით ცდილობს გაამრავლოს სასოფლო სამეურნეო სკოლები, რაშიაც დიდათ დაინტერესებულია აგრეთვე მიწად მოქ. სახ. კომისარიატიც.

სულიერი გარდატეხა მასწავლებლობაში.

დასასრულ, აღსანიშნავია აგრეთვე, მასწავლებლობის სულიერი გარდატეხა. მაშინ, როცა გასაბჭოების პირველ ხანებში მასწავლებლობა საბჭოთა ხელისუფლებისამი მტრულად იყო განწყობილი, ამჟამად იგი ლოიალურია და საბჭოთა ხელისუფლების ხელისშეწყობის და განმტკიცების პლატფორმაზე დგება.

სახ. გან. კომ. ამოცანაა კიდევ მეტი მჭიდრო კავშირი დაამყაროს მასწავლებლობისა და ხელისუფლების შორის.

კავშირის ცენტ. გამგეობის რეზოლიუცია.

მოისმინა რა გან. სახ. კომ. მოხსენება, კავ. ცენტ. გამგეობა აღნიშნავს სკოლათა ქსელის გაფართოვებას საქ. გასაბჭოების შემდეგ.

გან. მუშაკთა ხელფასის მოსაგვარებლად ცენტ. გამ. საჭიროდ მიაჩნია 1) სასკოლო ქსელის და მაგარი შტატების დაწესება, 2) იმ სკოლების მასწავლებელთა ადგილობრივი ალმასკომის ხარჯზე გადაყვანა, რომელნიც სახ. გან. კომ. მაგარ შტატში არ შედიან.

განათლების მუშაკთა დავალიანების დაფარვა გასული წლის ოქტომბრიდან ა/წ. იანვრამდე.

დასასრულ საჭიროთ არის ცნობილი საქ. სახ. გან. კომის. ეკონომიურ მუშაობაში კავშირის მონაწილეობა.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში

განათლების მუშაკთა ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო ა/წ. 25 იანვრისათვის, კავშირის ცენტ. გამგეობის დადგენილებით გადადებულია 12 თებერვლისათვის. ყრილობის გახსნის წინ გაიმართება ცენტ. გამგეობის პლენუმი. ამჟამად ყრილობის წინასწარ მუშაობას აწარმოებს ცენტრალურ გამგეობის მიერ გამოყოფილი საორგანიზაციო სამეული ამხ. მეძმარიაშვილის, მეგრელიძის და კოლიუბიაკინის ქალის შემადგენლობით.

განათლების მუშაკთა მესამე ყრილობის დღის წესრიგი შეიცავს: 1) მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებას, 3) განათ. სახ. კომ. მოხსენებას, 4) სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველოს მოხსენებას, 5) კავშირის ახლობელი ამოცანების, 6) ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ყრილობის ინფორმაციას, 7) სოფლის მასწავლებელი და მისი დანიშნულება სოფლად, 8) ცენტ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნების.

განათლების მუშაკთა კავშირის მუშაობა აჭარისტანში

აჭარისტანის განათლ. მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობამ თავისი მუშაობის პროცესში საკმაოდ განამტკიცა და ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა კავშირი, რომელიც ამჟამად წევრთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ურთიერთობა ადგილებთან ჯერჯერობით სავსებით მოგვარებული არ არის. კავშირის მუშაობა სახ. განკომისარიატთან ჯერჯერობით შეუთანხმებელია. აჭარის განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობა კრიტიკულია. ხელფასის გასტუმრება მეტად დაგვიანებით ხდება. ეს გარემოება მოქმედობს კავშირის ფინანსებზე და აფერხებს კავშირის მუშაობას. ყრილობის წინასწარი კამპანია აჭარისტანში უკვე ჩატარებულია. არჩეულ არიან კავშირის მესამე ყრილობისათვის დელეგატები.

განათლების მუშ. კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. განათლების ყველა მუშაკი უკვე კავშირის წევრად ითვლება. კავშირის წევრნი დიდი ნდობით ეპყრობიან თავის პროფორგანოს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მასწავლებლობის სულიერი განწყობილების გარდატეხაში დიდი როლი ითამაშა განათლების მუშაკთა სახლმა, სადაც წმინდა პედაგოგიური ხასიათის მუშაობა სწარმოებს. კავშირი ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან კონტაქტით მუშაობს. ჩატარდა დელეგატების არჩევა მესამე ყრილობისათვის.

ქრონიკა

— **მუშათა საბინაო კოოპერატივი.** ქ. ალმასკომმა დაადგინა მუშათა საბინაო კოოპერატივს 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად აძლიოს 1,500 მან. ჩერ. მუშათა სახლების შესაკეთებლათ.

— **სასტუმროს ჩამორთმევა.** ქ. ალმასკომმა დაადგინა სასტუმრო „საერო" ჩამოერთვას მოიჯარადრეს მაჭავარიანს და გადაეცეს ქალაქის კომენდატს „სასახლის ნომრები"-დან სამხედრო პირების გადასასახლებლათ.

— **ქალ. ალმასკომის მომარაგების ქვეგანყოფილების გაუქმება.** ალმასკომმა დაადგინა გაუქმებული იქნას ალმასკომის მომარაგების ქვეგანყოფილება.

— **საბავშვო სახლები.** ქ. ალმასკომის დადგენილებით საბავშვო სახლები გადაყვანილი იქნენ თვით მომარაგებაზე.

— **წითელი ჯვრის სასარგებლოთ** ქ. ალმასკომმა ნება დართო წითელი ჯვრის საზოგადოებას 3 დღის განმავლობაში ტფ. რესტორან-სასადილოებში შემოიღოს ბეგარა წითელი-ჯვარისავე სასარგებლოთ.

— **ცხენთა მოშენება.** ცხენთა საჯიშოების სამმართველოსთან მოეწყო ცხენთა მოშენების და მოვლა-შენახვის ორთვიანი კურსები.

— **ტყეების დაცვა-შენახვის მიზნით.** მიწად მოქ. სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულია ცირკულიარები: ტყეებში ცეცხლის გაჩენის დროს მისაღებ ზომების შესახებ და ზობის ხის მოჭრის აკრძალვაზე.

— **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.** მიწად-მოქ. კომისარიატის აგრო-დახმარების განყოფილებამ შეიმუშავა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების და იარაღმანქანების საურთიერთო მომხმარე ამხანაგობათა წესდებანი.

— **მოსავლის დღეობები.** რაჭის მაზრაში მოეწყო მოსავლის დღეობები. დღეობას დაესწრო მრავალი გლეხობა და მოსწავლე ახალგაზრდობა. დღეობის დღესვე მოეწყო საუბრები სასოფლო მეურნეობის დარგის შესახებ.

— **თვითშრომელთა საზოგადოების რაოდენობა საქართველოში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით ამ ჟამად საქართველოში მოწყობილია და მოქმედებს 16. თვითშრომელთა საზოგადოება. ამ საზოგადოებაში ირიცხება 4,792 წევრი.

— **განათლების მუშაკთა კავშირის მეორე რაიონის წევრთა კრება** ოთხშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე პოლიტეხნიკუმის ფიზიკური აუდიტორიის დარბაზში შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის მეორე რაიონის წევრთა კრება..

— **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ სხდომაზე დღეს 22 იანვარს, საღამოს 8 საათზე (ცენტრ-არქივის შენობაში (ოლღას ქ., № 48) წაკითხული იქნება მოხსენებები ბინედიქტე ჩიქობავას მიერ: „გარე კახეთი დიალექტოლოგიურად" და ვარ. თოფურიას მიერ: „ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში"

დასწრება ყველას შეუძლია.

— **ქართველ-უდინთა დამხმარე საზოგადოებაში.** დღეს, 22 იანვარს, დილის 11 ნახევარ საათზე საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შენობაში (რუსთველის პროსპექტი №14 მე-3 სართული) შესდგება ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოების სხდომა. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ სხდომას.

— **გლეხკომები გორის მაზრაში.** გორის მაზრიდან სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს მოუვიდა ცნობა, რომ იქ საგლეხო კომიტეტების არჩევნები დამთავრდება ახლო ხანში.

— **პენსიები ინვალიდებს.** გასული წლის დეკემბერის განმავლობაში დამზღვევ კასამ ინვალიდებისათვის პენსიების დასარიგებლად გაიღო 112 მილიარდი, 958 მილიონი და 750 ათასი მან. ქვრივ-ობლებისათვის—38 მილიარდი, 531 მილიონი 100,000 მანეთი.

— **არხი „მაშველი".** ტფ. არსენალმა დაამზადა ფარები ქუთაისის მაზრაში არხის „მაშველის" საჭიროებისათვის ფარები გადაგზავნილი იქნება ამ დღეებში.

— **მატყლის მრეწველთა თათბირი.** 25 იანვარს ა.-კ. გარეშე ვაჭრობის შენობაში შესდგება მატყლის მრეწველთა თათბირი.

— **ღვინის მოსავალი 1921 წ** საქართველოში საერთო მოსავალი ღვინისა 1923 წელს საშუალოზე მეტია. დაახლოებით ღვინის მოსავალი უდრის 13 მილიონამდე ვედროს. ღირსებით ღვინო საშუალოზე მაღალია.

— **სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი.** მიწათმოქმედების კომისარიატის თაოსნობით ახლო ხანში ტფილისში გაიხსნება სამეურნეო ტეხნიკუმები.

— **დახმარება უმუშევართ.** შრომის ბირჟა 24 იანვარს დახმარებას გასცემს: გემო-კვების, სახ. კავშირის, ქიმიკოსთა და ახალგაზრდა უმუშევართა სექციების უმუშევართ.

— **შრომის ბირჟა.** 19 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 10 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 176. სამუშაოზე გაიგზავნა 55. მოთხოვნილება იყო 36.

— **ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება.** საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ოთხშაბათს, 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე, იწვევს სამეურნეო და პროფესიონალურ კომუნისტ-მუშაკების თათბირს. დღის წესრიგშია ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება „ეკონომიური პოლიტიკის მორიგ ამოცანების შესახებ ამიერკავკასიის და საქართველოს პირობებში".

— **შეფების თათბირი.** ოთხშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე პარტიული კლუბის შენობაში (კირკის ქ. მუშკოპის შენობა) საქართველოს კომპარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს სოფელზე შეფობის კომისიის თათბირს.

შემთხვევები.

— **დაჭრა** 18 იანვარს, საღამოს 9 საათზე რუსთველის პრ. № 21 პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის კლუბში რევოლვერით თავი დაიჭრა სტუდენტმა ალექსანდრე ფარულავამ, რომელიც გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. მიზეზი თავის დაჭრისა გამოურკვეველია.

— **ქურდობა** 18 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე გონჩაროვის ქ. № 28 გაქურდულ იქნა მოქ. ბორჩაროვის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები 51 ჩერვონეცის. ეჭვით შეიპყრეს ალექსანდრე მექვევრიშვილი, დიმიტრი მახარობლიძე არტემ მუღალოვი და დავით არანაშვილი.

— **დაცემა.** 14 იანვარს, ღამით ტფილისიდან მიმავალ მეურმეებს აფარანის ეკლესიის მახლობლათ თავს დაეცნენ ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი, რომლებმაც მოქარის ქვეშ მეურნეებს წაართვეს სხვადასხვა ნივთები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია მიღებული ზომებით შეპყრობილ იქნება იქნენ სოფ. მარტყოფის მცხოვრებნი: ბაქრაძე, ძამაშვილი მიხა, ვახიაშვილი გიგა და ჯერენაშვილი შაქრო.

— **დაჭრა.** 14 იანვარს სოფ. მარტყოფში ადგილობრივ კოოპერატივის მახლობლად მოქ. ივანე კირეულიშვილმა თოფით დასჭრა აღნიშნულ კოოპერატივის მოლარე მოქ ვლადიმერ დუმბაძე. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 16 იან. გ.-ისაბედის ქ. № 84 გაქურდული იქნა მოქ. ანტონ კობინსკის ბინა. წაღებულია 10 ჩერვონეცის ნივთები.

ქურდობა. 17 იანვ. გაქურდეს მოქ. ხარაზოვის ბინა. ველიამინოვის ქ. № 4.

— **ქურდობა.** 17 იანვარს გაქურდული იქნა მოქ. დავით სიხარულიძის ღვინის სარდაფი (სადგურის ქ. № 20) საიდანაც წაღებულია 18 ვედრო ღვინო და სხვადასხვა ივთები.

9 იანვარი

ბინთო სული
და დატანჯულნი
ითხოვდნენ ნებას,
თავისუფლებას—
მეფის წყალობას.
მღვდელი ორგული
იუდას სულით
მათ წინ უძღოდა
და გულს უთბობდა
ხატით და ჯვარით.
„ჩვენ პური გვინდა,
მეფე, მოგვეწყინდა
ყოფნა ძაღლური,
ჩვენ გვინდა პური
გვშია, გვწყურია,
მეფევ, გვიბრძანე
სიტყვა მეფური.
და მეფე ბრძანებს:
„უნდა აღსრულდეს
ნება ჩემი დღეს,
უნდა აღსრულდეს,
უნდა აღსრულდეს,
უბრძანეთ ჯარებს
და ჩვენს ჯალათებს!

წამსვე სურვილი
მეფის და ხალხის
იქცა ტალღებათ
ბობოქარი ზღვის —
სისხლის ღვარებათ.
პურის მაგიერ
მიიღეს ტყვია
და ბედი შავი
თავს დაეფრქვია
და გაიხვია
ძაძში ქუჩები.
ისმოდა ხმები
ხარხარით: „ეხლა
ხომ ხართ მაძღრები,
ხომ არა გშიათ?!

—

დღეს მათ საფლავზე,
კოშკი ავაგეთ
მათი ლანდები
ჩვენთან არიან,
ეკლნარიანი,
რომ ერთათ ვკაფეთ
ერთად მოვილტვით,
მოგვიხარია.

სანდრო ეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახალხო თეატრი

„ქანდაკება"

18 იანვარს წარმოდგენილი იქნა ახალი ოთხ მოქმედებიანი პიესა გარდელისა—„ქანდაკება".

მოქანდაკე ლევანი წუთიერათ მხოლოდ იმიტომ მოვლენილა დედამიწაზე, რომ თავის აღგზნებულ სულით განაცხოველოს თიხა და მარმარილო და მათში ქმნიდეს უკვდაობას და სილამაზეს.

მაგრამ შემოქმედების ცაში მქროლავი მისი სული მიწაზე მაინც დაღოღავს ხორციელ არსებათ. და ცხოვრების სასტიკი ხელი მრავალ ჭრილობას აყენებს ასეთ ართხილ ბუნებას. და ხშირად ეს ჭრილობა სასიკვდილო და საბედისწეროც არის.

ლევანის მეუღლე ნინო—ეს ნამდვილი მიწის შვილია. ამაყი, თავმომწონე, ზვიადი, ბუნებით თამამი და ფუფუნების მოყვარული. ლევანის შემოქმედება და სახელი მას იმდენათ ეინტერესება, რამდენადაც ეს მისცემს ნივთიერ საშუალებას ცხოვრებაში საზეიმოდ. თვრამეტი წლიწადი მიმდინარეობს მათი ასეთი ცხოვრება, მოსწრებული ქალ-ვაჟიც კი ჰყავთ, მაგრამ მაინც უცხოთა რჩებიან ერთმანეთისთვის ცხოვრების სასტიკი მიწიერობა—ნინო და ფრთოსანი სული შემოქმედებისა—ლევანი.

ყოველდღიური ცხოვრება მაინც თავისას მოითხოვს: სახარჯოს, სახარჯოს. და აქ გამოჩნდება ევროპაში ნავალი ყმაწვილი—არჩილი, ნინოსთან კარგა მეგობრულათ განწყობილი. მისი წყალობით ვინმე ევროპიელი კომერსანტი ლევანს შეუკვეთავს ბიუსტს და ზესაც უტოვებს. ლევანს ეჩოთირება ესეთი შეკვეთანი მაგრამ ცოლის სასტიკი ნებისყოფა, მბრძანებლობს მასზე და შეუდგება საქმეს, მაგრამ აი, მოულოდნელი ვულკანი, რომელმაც იფეთქა შემოქმედის არსებაში! ახალგაზრდა ასული ელენე, თავდავიწყებული მოთაყვანე ლევანისა, გადაიქცევა წყაროდ უკვდავებისა. მისი ტრფიალების დროს უეცრივ მოსწყდება შემოქმედების სამყაროდან რაღაცა მეტეორი და ლევანის ზმანებაში ჩამოიკვეთება ახალი სახე ქანდაკებისა, ახალი სილამაზე, რომელსაც სახელად ეწოდება—სიცოცხლე.

იგი ამ ქანდაკებაზე მუშაობს ეხლა და კომერსანტის ბიუსტს კი თავს მიანებებს. ცალკე ეს, ცალკე აშკარა იჭვიანობა ელენისადმი—ნინოს გულში იწვევს ამბოხება და საქმე უფრო და უფრო მწვავდება ლევანსა და ნინოს შორის.

ბოლოს შმაგი და თავმოყვარე ნინო ველარ იტანს ვერც ცხოვრების ხელმოკლეობას, ვეღარც ქალურ შეურაცხყოფას და ამსხვრევს ლევანის ახალ ქანდაკებას.

ლევანი გონებას ჰკარგავს და სასოწარკვეთილებით აღრჩობს თავის ცხოვრების ხვლიკს—ნინოს.

პიესაში არ არის არც ერთი მოუხეშავი ადგილი. მხოლოდ პირველ და მეორე მოქმედებაში არის ბევრი მეტხორცობა. თითქოს ავტორს განგებ შეუქნია ზედმეტი სცენები რაღაცა დროის მოსაგებათ. ეს სცენები სრულიად არაფერს არ უმატებენ პიესის მთავარ მიმდინარეობას და მხოლოდ მოწყენას იწვევენ მაყურებელში.

განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში. სადილობის დამთავრებამდის ძალიან ბევრი რამ უნდა შემოკლდეს და ამით მთავარი ნაკადი პიესისა უფრო წმინდათ და ლამაზათ დაიწყებს დენას.

პიესა დაწერილია სუფთა ქართულ ენით, მაგრამ, ჩვეულებრივი წყობით, ეს კი ცოტა საჩოთიროა ეხლა, როცა ჩვენ პროზამაც ჩაიქსოვა ნამდვილი მუსიკალობა და ჩვეულებრივ ლექსთა წყობასაც კი წაედავება თავისი სილამაზით.

მოქანდაკე ლევანის როლი ეტვირთა—ლითანიშვილს. ჯან-ღონით მისუსტებული, მაგრამ სულიერათ აღვზნილი ბუნება შემოქმედისა მან ღირსეულად ჩამოაქანდაკა. მართალია როლი კარგათ არ იცოდა, მაგრამ მისი სცენიურათ დახელოვნება ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ჩვეულებრივი მაყურებელი ვერაფერს ამჩნევდა და გატაცებით მისჩერებოდა.

ნინოს როლი ერთობ ჰშვენოდა ლორთქიფანიძის ასულს, იგი ბუნებისაგან გულ-უხვად არის დაჯილდოებული სცენიურის გარეგნობით: ახოვანი, გრძნეული შტრიხები, თავმომწონე იერი, ზიზღ-შერეული დაცინვა ტუჩებში და ისარზედ მწვავე გადახედვა ამპარტავანის თვალებისა, რომელთაც უხდებათ ლომბიერობით გადანადირება არჩილისკენაც. პირველ მოქმედებაში თავისი გულგრილი თამაშით ცოტა უიმედობა დაჰბადა, მაგრამ შემდეგ თანდათან გაერთო და თავისი შმაგი ბუნება ლამაზად გაათამაშა.

არჩილის როლს ასრულებდა კრავეიშვილი. ევროპაში ნავალი, ქალებში გათამამებული, დარდიმანდ-მხიარული, ლევანის ოჯახში მოშინაურებული და თითქმის გაბატონებული ტიპი არჩილისა მან ძალიან მოკრძალებით დაგვისახა. ძალიან შემკრთალი თამაშობდა, ეშინოდა ფრთის გაშლისა. ამ როლში საჭიროა მეტი სილაღე, მეტი სიცოცხლე. კრავეიშვილს ეტყობა შეუძლია მისი წესიერად შესრულება, მაგრამ ჰშიშობს, თავის თავს ძალათი ატყვევებს.

მარჯველაშვილის ქალი მიუხედავათ თავისი ცდისა და მომზადებისა მაინც შეუფერებელია ელენეს როლში. ელენე—ეს უნდა იყოს ჯადოქარი სილამაზისა, გატაცებისა, რომელიც ლევანს შეაცურებს შემოქმედების ახალ სამყაროში. ნამდვილათ კი ნინო მას გადმოსცქერის სილამაზის დედოფალივით და იბადება სცენიური ულოღიკობა, რაც პიესას უეჭველათ ელფერს უკარგავს. ამ როლში ბევრით უფრო შესაფერი იქნება ჩიხლაძის ასული

აბალიშვილის ასულს უხდებოდა თავისავით პატარა და კოხტა როლი მიამიტ გოგონა ქეთინოსი. მან მშვენიერად გადმოგვცა მგრძნობიერი ბუნება შელერებულის ბავშვისა, რომელიც სავსებით დაჰნათესავებია მამის სულში ჩაჭრილ სევდას.

ადამიძის სახით—ზურაბის როლში —თვალ წინ წარმოგვიდგა ნამდვილი ტიპი გალაზღანდარავებულის გიმნაზისტისა.

არა უშავდარა ქართველიშვილს დიდედას როლში და თავდგირიძეს—აგრონომისაში.

მიუხედავათ სამუშაო დღისა, ხალხი ბლომათ დაესწრო და საამო შთაბეჭდილებითაც დაბრუნდა.

დელი.

—

— **საზეიმო წარმოდგენა.** დღეს, რუსთაველის თეატრში იმართება საზეიმო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება „ინტერესთა თამაში" კ. მარჯანიშვილის დადგმა. ანტრაქტის დროს ქართველ ახალგაზრდა მსახიობთა მიერ წაკითხული იქნება მანიფესტი ქართული თეატრის შესახებ. ზეიმზე მოპატიჟებულნი არიან მწერლები და პრესის წარმომადგენელნი.

— **ტასო აბაშიძის იუბილესათვის.** ტასო აბაშიძის იუბილე გადახდილ იქნება 10 თებერვალს. ქართველ მსახიობთა საბჭო ამ დღისათვის გამოსცემს საგანგებო წიგნაკს იუბილიარის მოღვაწეობის შესახებ.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** დღეს, 22 იანვარს, ხელოვნების სასახლეში პირველათ გაიხსნება პროლ. მწერ. კავშირის ლიტ. სამშაბათობა (ორშაბათის მაგიერ.) დასწრება ყველა წევრებისა სავალდებულოა. საღამო იქნება 9 იანვრის აღსანიშნავათ.

— **გიგო ზერჩუაშვილის სახელობის ქუჩა.** ქალაქის ალმასკომის დადგენილებით ამიერიდან ბატარეის ქ. დაერქვა გიგო ზერჩუაშვილის სახელი

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერების წიგნი. გამოცემა სახელ. გამომცემლობა.

— **პროლეტკულტის დრამატიული სტუდია.** საქართველოს პროლეტკულტის დრამატიული სტუდიის მოწაფეები ამ ჟამად ამზადებენ შილერის „ყაჩაღებს", რომელიც წარმოდგენილი იქნება თებერვლის პირველ რიცხვებში.

— **მუშათა კლუბი.** მუშათა ცენტ. კლუბში დაიწყო საოპერო წარმოდგენების გამართვა. წარმოდგენები იმართება კვირაში ერთჯერ.

— **სოლომონ თავაძის ლექსების წიგნი.** იბეჭდება და იანვრის დამლევს გამოვა სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) ლექსების წიგნი.

— **ავლაბრის მუშათა კლუბი.** ავლაბრის მუშათა კლუბთან დაარსდა მუშა-მომღერალთა გუნდი.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „დემონი".
— **დრამა.** „ინტერესთა თამაში".
— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

სოფელი საგარეჯო (გარე-კახეთი)

10 იანვარს მოხდა დასაფლავება ვერაგულად მოკლულ, საგარეჯოს კოოპერატივის გამგეობის წევრის ამხ. ივანე ანდროს ძე ქაიხოსროშვილის. ზემოხსენებულ რიცხვს საღამოს 5 საათზე, საგარეჯოს ყველა დაწესებულების უფროსებმა და მუშა მოსამსახურეებმა პარტ. ამხანაგებითურთ, საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ს. აბრამიშვილის მეთაურობით, თავი მოიყარეს ამხ. ქაიხოსროშვილის სახლში. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ი. კ—ძე კუტერმინმა, დაახასიათა მისი მოღვაწეობა მუშების და გლეხების სასარგებლოდ. სიტყვის შემდეგ წითელი დროშით და სამგლოვიარო მარშით პროცესია გაემგზავრა სასაფლაოზედ; გზაზე შეჩერდა საგარეჯოს კოოპერატივის წინ, სადაც სიტყვა წარმოსთქვა საბჭ. თავმჯდომარემ ამხ. ს. აბრამიშვილმა. მან სთქვა, რომ ეს საზიზღარი მკვლელობა, რომელიც ჩადენილია მენშევიკ ბანდიტების მიერ, ანაზღაურებული იქნება ერთი ათად და რომ მშრომელი ხალხი არ დაივიწყებს მის ამაგს. სასაფლაოზედ უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოსთქვეს იმავე ამხანაგებმა.

ე. ჩ.

სოფ. საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოს სახალხო თეატრის ბედი უკუღმა დატრიალდა. ეს ორი-სამი თვეა, რაც აღარ იმართება წარმოდგენები, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მასის გათვითცნობიერების და მისი კულტურულად ამაღლების საქმეში. საგარეჯოს სახალხო თეატრის მოქმედება ენერგიულად შეჩერდა ერთს წერტილზე. საზამთრო სეზონი დახურული არის და რეპერტუარი შემუშავებული არ არის. ამის მიზეზი არის ის, რომ საგარეჯოს დრამატ. კოლექტივს არ მოეპოვება არავითარი მატერიალური რესურსები და საჭირო ფონდი. გამართული წარმოდგენებიდან შემოსავალი კი ვერ ჰფარავს მათი გამართვით გამოწვეულ ხარჯებს და ყოველთვის დეფიციტი აღემატება შოხებას. ეს ფრიად სამწუხაროა, ამას დიდი ყურადღებით უნდა შოეპყრას ადგილობრივი საბჭო, აგრეთვე ტფილისის საბჭოს სახალხო განათლების განყ. და საგარეჯოს კულტურულ-განმანათლებელი სექცია, რომლის განკარგულებაში არის რაიონის მიხურული ეკლესიების ქონება და მისი რაციონალურად გამოყენების უფლება. მაგრამ ამ მხრივ მას არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგია.

ამ საქმისათვის უნდა აიმაღლოს ხმა საგარეჯოს ფარგლებში მყოფ და მისი წიაღიდან გამოსულმა ინტელიგენტმა და მუშამ. ყოველი ჩვენთაგანი მოვალე არის გაიღოს თავისი წვლილი სახალხო თეატრის ამოძრავებისათვის და მოუწოდოს აგრეთვე სხვასაც ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის წარმატებისათვის.

ლ. ზუკაშვილი.

მუშათა ხმები

მუშა ასოთამწყობის მოგონება

1905 წ. 9 იანვარი.

სწორედ დღეს, 22 იანვარს (9 იანვარი) შესრულდა 19 წელი მას შემდეგ, რაც პეტროგრადში საზამთრო სასახლესთან დაიღვარა 5000 მუშის უმანკო სისხლი; 1905 წლის დასაწყისში კიდევ ჰქონდა პეტროგრადის მუშებს იმედი, რომ მათი ღატაკი ცხოვრების და გაჭირვების შესახებ მეფემ არაფერი იცის, თორემ ასეთი სილატაკე მათ არ დაჩაგრავდა; როგორც ყოველთვის, აქაც გამოჩნდა პეტროგრადის ოხრანკის მიერ დაქირავებული, ვითომც მუშებისათვის თავდადებული, მღვდელ—მღვდელი გრიგორ გაპონი, და ისიც ჯვრებითა და ხატებით წაუძღვა მუშებს სასახლისაკენ, რომ მუშებს თავიანთი გაჭირვება პირადათ გადაეცათ თვითმპყრობელ სისხლიან ნიკოლოზ მეორისთვის; კარგად იცოდა გაპონმა, რომ ნიკოლოზი მათ, მუშებს, ტყვიით გაუმასპინძლდებოდა, მაგრამ იგი მაინც გაუძღვა მუშებს და საზამთრო სასახლესთან ამოაჟლეტია ისინი. მხოლოდ მუშების უმეტესი ნაწილი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ „ბარ-ბატიუშკა" მათივე სისხლით შეღებავდა პეტროგრადის ქუჩებს; მათ ეგონათ, რომ მეფე მოისმენს იმ გაჭირვებას და სულის შემხუთველ პირობებს, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებში თითქმის 16 საათის განმავლობაში და კაპიტალისტები მათ უზომოდ ყვლეფავდნენ.. მაგრამ მეფე რის მეფე იქნებოდა, რომ არ გამოექომაგებოდა თავის მარჯვენა ხელს — კაპიტალისტებს, და მან პირნათლად შეასრულა უკანასკნელების დავალება და ტყვია დაუშინა პეტროგრადის პროლეტარიატს...

აი, აქედან დაიწყო რუსეთის დიდი რევოლუცია, 9 იანვარი ისტორიული დღეა რუსეთის რევოლუციის შემდეგ განვითარებაში; აი, აქ ჩაისახა მუშათა ბრძოლის ახალი მეთოდების აზრი, რამაც მისცა შემდეგ რუსეთის პროლეტარიატს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს ოქტომბრის დიდი გადატრიალება და მუშათა და გლეხთა დიქტატურა, რომლის მოწამენიც დღეს ჩვენ ვართ

1905 წელს, 9 იანვარს გადაწყდა რუსეთის მუშათა კლასისათვის საკითხი თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ, რომელმაც, უამრავი მსხვერპლის შემდეგ, გამოიღო თავისი ნაყოფი მხოლოდ 1917 წლის ოქტომბერში. რუსეთის პროლეტარიატმაც იგივე მოუწყო სისხლიან ნიკოლოზ მე-2-ს და სასტიკად აგებინა პასუხი მას, მის მიერ განწამებ რუსეთის პროლეტარიატის წინაშე...

არ შემიძლია აქ არ მოვიგონო ის წარსული, რომელმაც რუსეთის რევოლუციაში უდიდესი როლი ითამაშა. სწორედ 1905 წელს მე ვმუშაობდი ბაქოში ცენტრალური კომიტეტის საუკეთესოდ მოწყობილ საიდუმლო სტამბაში, რომლის უმთავრესი ხელმძღვანელები—ამხ. კრასინი და აბელ ენუქიძე, ტრიფონ ენუქიძე, ვანო სტურუა, ვანო ბოლქვაძე, სილ. თოდრია, ლადო დუმბაძე და კიდევ სხვა ბევრი ამხანაგები დღესაც განაგრძობენ თავიანთ სარევოლუციო საქმიანობას აქტიურ მუშაობას. თვალწინ მიდგას ამ საიდუმლო სტამბის მოწყობილობა და ჩვენი კონსპირაცია; არასოდეს არ დამავიწყდება ის დიდი ფურცელი, წვრილად დაწერილი პაპიროსის ქაღალდზე, რომელიც მე და ვანო ბოლქვაძემ ავაწყეთ ქართულად და რუსულად (მაშინდელი რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემა 9 იანვარს მუშების დახოცვის შესახებ პეტროგრადში).

მახსოვს კარგად, რომ ის პროკლამაცია რამდენიმე ასი ათასი დავბეჭდეთ, დღე და ღამე ვმუშაობდით, რომ საჩქაროდ მოგვესწრო ეს ბასრი [illegible]ლი თვითმპყრობელობის დასანგრევად დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ჯერ არ გამქრალა ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ პროკლამაციამ დასტოვა. აი, ამ პროკლამაციის მბეჭდავი და მრავალი სხვებისაც აქ მაშინ იყვნენ აბელ ენუქიძე და ვანო სტურუა; ისინი ასრულებდნენ ჩარხის გადამტრიალებლების როლს და ოფლი წურწურით გადასდიოდათ.

9 იანვრის შემდეგ თვითმპყრობელობის ყოფნა-არყოფნის საკითხი უკვე გადაწყდა და უფრო დიდის ენერგიით განვაგრძობდით პროკლამაციების ბეჭდვას, ვინაიდან 9 იანვარს გამოიხმაურა თითქმის მთელი რუსეთის პროლეტარიატი და თავის პროტესტებს და ზიზღს უგზავნიდა მეფეს და მის ჯალათებს დემონსტრაციებით რევოლუციონურად განწყობილი მუშათა კლასი, რომელმაც მიზნად დაისახა, თვითმპყრობელობის დამხობა.

9 იანვრის შემდეგ დაადგა რუსეთის მუშათა კლასი გადამწყვეტ ბრძოლის გზას.

მუშათა კლასმა უმანკო სისხლი დაღვარა 9 იანვარს, მაგრამ ამ უმანკო სისხლითაა შეღებილი სწორედ ის წითელი დროშები, რომელნიც მუშათა და გლეხთა ხელშია დღეს და ის არასოდეს არავის არ დაეთმობა.

პეტროგრადის ოხრანკის აგენტი და პროვოკატორი გრიგორი გაპონი კი ფინლიანდიის საზღვართან სოფელ შუვალოვოში ერთ ფაცხაში ჩამოახრჩო იმავე წელში რევოლუციის სასტიკმა სამსჯავრომ.

სტამბის მუშა — უშანგი ჯაში.

ჩვენი პირველი საშინელი მსხვერპლი

(მუშის ნაამბობი 1905 წ. 9 იანვარზე).

1905 წ. 9 იანვარი წითელის ასოებით აღიბეჭდება რუსეთის რევოლუციის მატიანეში და საშინელ შვილოდ გადაეცემა მომავალ თაობას ის სიმხეცე თვითმპყრობელ მეფისა, რომელიც მან გამოიჩინა თავის სასახლის ერთგულ დამცველებით პეტროგრადის ღარიბ მშრომელი ხალხის წინაშე.

ამ დღის მოინდომა ღარიბ-ღატაკთა შეჯგუფებულმა ნაწილმა პირისპირ ენახა „თავიანთი ერთგული მამა"—მეფე და გადაეცათ თავიანთ გაჭირვების ამბავი, რომელშიაც ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, თუ მეფე მოისმენდა მათ გაჭირვებას, ის უსათუოდ შეუმსუბუქებდა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას და მიანიჭებდა მათაც ადამიანურ უფლებებს.

— მეფემ არ იცის ჩვენი გაჭირვება და თუ გავაგებინებთ ყველაფერს, ის უსათუოდ შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას და ყოველნაირად დაგვეხმარებაო—აი, რას გაიძახოდა მაშინდელი უვიცი მშრომელი ხალხი.

მართლაც შეიყარა თავი დიდძალმა ქალმა და კაცმა და პროვოკატორ გაპონის მეთაურობით და მრავალი ხატებით და ჯვრებით გაემართნენ „მირონცხებულ" მეფის სასახლისკენ. სასახლის ახლო-მახლო ქუჩებზე ტევა აღარ იყო, მოუთმენლად ელოდნენ ნიკოლოზის ხილვას, მასთან საუბარს!..

ღატაკი ხალხი მოითხოვდა მეფისგან პურს, სამართალს, უფლებას.

მაგრამ სწორედ მოსტყუვდა!

სამართლისა და პურის მაგივრად ტყვიის მფრქვეველები მიაგებეს მშვიდობიან უიარაღო ხალხს. შეუბრალებლად დაუშინეს ტყვიები, არ დაზოგეს არც ქალი, არც კაცი, არც ბებერი და არც ყმაწვილი. წითლად შეიღება პეტროგრადის ქუჩები უდანაშაულო მშრომელი ხალხის სისხლით.

ის ხატები, რომელთაც ვითომ „დიდი ძალა" აქვთ მატყუარა სამღვდელოების ცრუ ქადაგებით და მეფეც ცბიერად ლოცულობდა მათზე, ზედ გულზე მიახვრიტეს ტყვიებით ხალხს!..

აქამდის თუ კიდევ იმედი ჰქონდათ მშვიდობიანის თხოვნით რამეს მისცემდა მათ მეფე, ეხლა კი დარწმუნდნენ მუშები, რომ მეფე თავის ხალხისთვის „მამა" კი არა, ჯალათია და მასთან თხოვნით ვერაფერს გააწყობენ, არამედ ბრძოლით!

ცხრა იანვარს დაღვრილმა პროლეტარიატის სისხლმა თვალი აუხილა ყველას და უფსკრული გაავლო მეფესა და ხალხს შორის. ამ მსხვერპლმა გზა გაუკაფა რუსეთის რევოლუციას და ჩვენც მოვალენი ვართ დიდებით მოვიგონოთ ხოლმე ცხრა იანვარს დაღუპული მსხვერპლნი.

დიდება მათ ხსოვნას!..

მუშა კორესპონდენტი დ—ელი.

კომუნისტური ნათლობა.

1924 წ. იანვრის 19 შესანიშნავ დღით [illegible] ჩაივლის მბეჭდავთ ცხოვრებაში. ამ დღის არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა პროფკავშირების დიდი დარბაზი მუშათა სასახლეში. დარბაზი მორთულ-მოკაზმული იყო მწვანე გირლიანდებით. აქა-იქ კედლებზე გაკრული იყო დაბეჭდილი პლაკატები შემდეგის წარწერებით:

„ჩვენი პროლეტარული სალამი კოლექტივის ახალ წევრებს", „საეკლესიო წესს შესცვლის მუშათა კოლექტივის ზეიმი", „ვისაც სწამს საიქიო, მას არ ძალუძს გარდაქმნას ჩვენი ცხოვრება" და სხვა.

დარბაზი დამშვენებული იყო აგრეთვე წითელი ბაირაღებით და რევოლუციის მოწინავე ბელადების სურათებით.

საღამოს ექვსი საათი არც კი იქნებოდა, რომ დარბაზს აუარებელი მუშა ქალი და კაცი ეწვია. ყველას სახე უცინოდა, მხიარულ გუნებაზე იყო, რაღასაც ელოდებოდა. მართლაც ამ დღის დანიშნული იყო ახალი კომუნისტური ნათლობა მბეჭდავთა კავშირის წევრთა შვილებისა. შესრულდა ექვსი საათიც. დაიწყო მეშვიდე. დამსწრენი მოუთმენლად ელიან ნათლობის ზეიმს. სამხედრო მუსიკა უკრავს რევოლუციონურ ჰანგებზე.

აგერ დარბაზის ამაღლებულ სცენაზე გამოჩნდა ძველი ასოთ-ამწყობი, რევოლუციის თავდადებული მუშაკი და მოამაგე ამხ. ლადო დუმბაძე, რომელიც სიტყვას ამბობს და უხსნის დამსწრეთ ძველი ნათლობისა და ახალი ნათლობის მნიშვნელობას.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ეგებებიან ამხ. დუმბაძეს. მუსიკა უკრავს. წარმოსთქვეს სიტყვები აგრეთვე ამხ. თოდრიამ, მ. ორახელაშვილმა, ნ. ცერცვაძემ.

დაიწყო ნათლობა, ბავშვები რიგრიგათ მიჰყავთ. ნათლიებათ თვით რევოლუციის მოწინავე მუშაკები არიან: ლ. დუმბაძე, ს. თოდრია, ვ. ბოლქვაძე, ცერცვაძე, ს. იაშვილი, დ. დოგონაძე, ხარაზიანი, მ. ორახელაშვილი და სხვები. ახლად მონათლულებს უწოდეს რევოლუციის მოწინავე გმირ-ბელადთა და რევოლუციის შესანიშნავ დღეთა სახელები. მოინათლა 87-ზე მეტი ყმაწვილი ბავშვი. ახლად მონათლულებმა მიიღეს საჩუქრები.

ნათლობის შემდეგ დაიწყო კონცერტი, კუპლეტები და სხვა. მშვენივრად უკრავდა გიტარა მანდოლინის ორკესტრი.

დიდათ ნასიამოვნები ხალხი ღამის თერთმეტ საათზე დაიშალა.

მუშა-კორესპონდენტი მეტრე.

ვის უნახავს ასეთი უსაქმური ადგილკომი?!

არა ერთხელ იყო დაწერილი ალმასკომთან არსებულ კომუნალურ მეურნეობის ადგილკომის უმოქმედობის შესახებ. ჩვენი პრესა დიდი ხანია აღნიშნავს, რომ ადგილკომი არ მუშაობს. სხვას ყველას თავი დავანებოთ, მხოლოდ ერთ რამეს ვახსენებ პრესის საშუალებით. თანამშრომლები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან პურის უქონლობით. ერთი თვე არის ფულს ზედი-ზედ ურიცხავენ თანამშრომლების ჯამაგირიდან და პური კი არ ჩანს. რაშია საქმე? დროა აღნიშნულმა ადგილკომმა მიანებოს თავი იმ საქმეს, რის გაკეთება მას არ შეუძლია.

გამოფხიზლდი, ადგილკომის მდივანო ამხ. გოლუბევა!

მუშკორი მეფუხრიშვილი.

შეიბრალეთ სახალხო ქონება.

ავტომობილი № 296 თითქმის ყოველ დილას ცოტა თუ ბევრად დიდი ხნით უცდის ჭავჭავაძის ქუჩაზე სახლთან № 10 ერთ-ერთ პასუხისმგებელ ამხანაგის მეუღლეს, ექიმ ქალს, რომ მიიყვანოს ის ყოფ. მიხეილის საავადმყოფოში სამსახურში.

იხარჯება ბენზინი ჭავჭავაძის აღმართ ქუჩაზე ასვლა ჩამოსვლაში და შემდეგ საავადმყოფოში მისასვლელად, იხარჯება ორი კაცის (შოფერი და თანაშემწე) დრო, ცვდება ავტომობილი.

რა საჭიროა ყველა ეს?

ჰიგიენა გვასწავლის, რომ მანძილზე იმ ამხანაგის მეუღლეს ფეხით გავლაც მეტად მოუხდება და დაუშვებელია თვით იმ პასუხისმგებელ ამხანაგისთვისაც ავტომობილით სარგებლობა თავისთვისაც იმ მოკლე მანძილზე, რომელიც არის მისი ბინიდან განათლების კომისარიატამდე, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ ის ათხოვებს თავის ავტომობილს თავის მეუღლეს ახლო სამსახურში მისასვლელად.

ავტომობილი დანიშნულია გადაუდებელ საჭიროებისთვის, სეირნობა კი ფეხითაც შეიძლება. ხარჯები ისედაც ბევრი გვაქვს და გვმართებს დიდი მომჭირნეობა ყველაფერში.

მუშკორი მაუფრენელი.

ასეთი ექიმები დაუყოვნებლივ უნდა იქნან მოხსნილი სამსახურიდან.

ჯანსახკომის დამზღვევ კასის საყურადღებოდ.

ქალ. ყველა უბნებში არიან საუბნო ექიმები, რომლებიც ვალდებულნი არიან პირველ მოთხოვნილებისამებრ წავიდნენ ავადმყოფობის სანახავად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება. რის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს: 18 იანვარს, შუადღის 4 საათზე, ალექსანდროვის ქუჩაზე სახ. № 28 უეცრად გამხდა ბავშვი ავად—(სულის ხუთვით). მე მაშინვე გავგზავნე კაცი საუბნო ექიმთან ბ-ნ ბაქრაძესთან და თან გავატანე დაზღვევის წიგნაკი. როდესაც ბ-ნ ექიმს ეუბნებიან ასეთ უეცარ ავადმყოფის შესახებ და სთხოვენ ავადმყოფის ნახვას ის უპასუხებს: „ჯერ წადით ამბულატორიაში" (მინიმუმი ერთი ვერსია) „მოიტანეთ ტალონი და მერმე წამოგყვებით". ეს იყო იმის პასუხი. ასე, რომ სანამ იქ მივიდოდით ტალონის ასაღებათ, მანამ ბ-ნი ექიმი კი წავიდოდა (კიდეც წასულიყო) და ბავშვი კი მოკვდებოდა. განა ამაში გამოიხატება დახმარების აღმოჩენა? განა ასეთი ექიმების შესანახათ მიაქვს დამზღვევ კასას 12 პროცენტი? ასეთ უმსგავსო და ყოვლად დაუშვებელ საქციელს დროზე უნდა მოეღოს ბოლო. ასეთი ექიმი როგორიც არის ბ-ნი ბაქრაძე, რომელიც სცემს საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს და ეწევა საბოტაჟს დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დათხოვნილი და პასუხისგებაში მიცემული,—სხვებს კი უნდა მიეცეს წინადადება ასეთ უეცარი შემთხვევისათვის ტალონი კი არ მოითხოვონ, არამედ დამზღვევი წიგნაკის წარდგენით დაკმაყოფილდნენ და მიეშველონ ავადმყოფს. დაუშვათ, რომ ბ-ნ ბაქრაძეს დამზღვევის კასიდან წინადადებაც ჰქონოდა მიცემული უტალონოთ ფეხი არ გადადგაო—მის ზნეობრივ ვალდებულებას მაინც შეადგენდა ავადმყოფისათვის დროზე მიეშველებინა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ექიმი ბაქრაძე ზნეობასთან შორს ყოფილა. ბაქრაძის შემდეგ მივმართე ექიმ იაროსლავცევს. ის ავად დამხვდა. შემდეგ მესამე ექიმს მარკოზოვს ის შინ არ დამხვდა და კიდევ კარგი, რომ კერძო ექიმის მოყვანამდი ბავშვმა სული მოითქვა და გადარჩა სიკვდილს.

ამისთანა ექიმებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა დაწესებულებებში.

ილ. კალანდაძე.

მუშათა ქრონიკა

— **მუშა მოსამსახურეთათვის კრედიტის გახსნა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში ადგილკომის მიერ დარიგებულ იქნა მუშა-თანამშრომლებისათვის „მუშკოოპის" ორდერები გახსნილ კრედიტის ფარგლებში საქონლის სესხად მისაღებად.

— **პროლეტარულ სტუდენტთა კრება.** დღეს, დილის 11 საათზე, ტფილისის სახელმწიფო ქართულ უნივერსიტეტის და მუშფაკის ახალგაზრდათა კომკავშირის ბიურო უნივერსიტეტის შენობაში იწვევს ქართულ უფროს მეთაურთა და უპარტიო სტუდენტთა შეერთებულ კრებას, სადაც 9 იანვრის მნიშვნელობაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ფილიპე მახარაძე.

უჯრედის მდივანი ქ. ცინცაძე.

— **კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის კლუბში.** დღეს, 9 იანვრის აღსანიშნავად წყალსადენის მუშების მონაწილეობით ალ. ზადრიაძის მიერ დადგმული იქნება კომუნ. მუშ. კავშირის კლუბში (ყოფ. ბაღი გოლოვანოვის) ვ. რუხაძის პიესა „ოქროს კერპი".

მენშევიკის განცხადება

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს.

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება:

1908 წლიდან ვირიცხებოდი სოც. დემ. (მენშევიკურ) პარტიის წევრად საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეც ჩავები არალეგალურ მუშაობაში და ვირიცხებოდი ცხინვალის რაიონულ კომიტეტის წევრად. მართალია ბევრ საკითხებში არ ვეთანხმებოდი არალეგალურ ცეკას, მაგრამ პარტიული დისციპლინის ძალით ვემორჩილებოდი პარტიის სხვადასხვა დადგენილებებს და დროზე ვერ დავაღწიე თავი პირად თავმოყვარეობას. მენშევიკთა სრულიად საქართველოს კონფერენციის მუშაობამ და დადგენილებებმა ბევრი რამ გაურკვეველი ნათელყვეს ჩემთვის, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე გამომეთქვა ჩემი აზრი და [illegible] ზემოხსენებულ კონფერენციის დადგენილებებისადმი. ამ დღეებში მომეცა საშუალება სავსებით გავცნობოდი როგორც აგვისტოს კონფერენციის დადგენილებებს, ისე ჩემი თანამებრძოლთა, მეტეხში მყოფ (გორის მაზრიდან) პატიმართა განცხადებას რამაც ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია.

უერთდები რა 25 აგვისტოს (მენშევიკურ) კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს, ფიცსა ვსდებ მთელი ჩემი ენერგიით ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ამით გამოვასწორო მუშათა კლასის წინაშე ის შეცდომები, რომლებიც დაუშვი არალეგალურ მენშევიკურ პარტიის რიგებში მუშაობით ამ სამი წლის განმავლობაში.

ვანო გიორგის ძე ხოსიაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მენშევიკური პარტიის გახრწნამ და დაშლამ ჩვენ თვალწინ გადააქცია ისინი ბანდიტების უმნიშვნელო ჯგუფათ, რომელიც არ ერიდება მენშევიკური პარტიიდან აშკარად და გულწრფელად წასულ ძველი მუშების საძაგელ მკვლელობას, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოები, კერძოდ კი საქართველოს საგანგებო კომისია საკმაოდ ძლიერი არიან, რომ გამოააშკარავონ და სათანადო სიმკაცრით დასაჯონ ის პირები, რომლებიც მენშევიკური პარტიის ბრძანებით კლავენ ძველ რევოლუციონერ მუშებს და რომ, ამიტომ დღევანდელ პირობებში არ არის რეპრესიების ასეთი განსაკუთრებული ზომებისათვის მიმართვის საჭიროება, როგორც არის მენშევიკური პარტიის ცალკე თვალსაჩინო მოღვაწეების,—რომლებიც ეჭვს გარეშეა სავსებით პასუხისმგებელი არიან გიორგაძის და ქაიხოსროშვილის მოკვლისათვის,—მძევლებად გამოცხადება,—ამიტომ საგანგებო ქართველოს კომისიის კოლეგიის დადგენილება 38 მენშევიკის მძევლებად გამოცხადების შესახებ გაუქმებული იქნეს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—
ლ. ლორთქიფანიძე.

ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატის

განმარტება

1924 წ. იანვრის 17-ს.

შრომის კანონთა კოდექსის 162 მუხლის სწორი გაგებისა და ფაბკარკომიტეტის განთავისუფლებულ წევრების ხელფასის საპროც. ანარიცხების სახით ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანის გამო, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. კომიტეტებში მუდმივად მუშაობისათვის ფაბკარკომების და ადგილკომების სამუშაოდან განთავისუფლებულ წევრთა ხელფასი—თავიანთი კვალიფიკაციის მიხედვით, მხოლოდ მისი რაოდენობა არ უნდა იყოს სატარიფო-სათანადო განაკვეთზე ნაკლები.

2. სამუშაოდან განთავისუფლებულ კომიტეტის წევრ მუშა-მოსამსახურეების ხელფასი ტარდება უწყებულ დაწესებულების ან წარმოების ხელფასის საერთო ხარჯთაღრიცხვაში და ეძლევათ იგი იმ ხარჯების დამოუკიდებლათ, რომელიც შრომის კანონთა კოდექსის 162 მუხლის თანახმად დაწესებულია კომიტეტისათვის.

3. მე-2 მუხლში ნაჩვენები ხარჯების დაფარვა იმ პროც. ანარიცხიდან, რომელიც კომიტეტის შესანახავათ იხდიან წარმოების, დაწესებულების ან მეურნეობის ადმინისტრაცია დაუშვებელია.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი
ა. მიქაძე.
საქ. პროფ. კავშ. საბჭოს მდივანი
ბ. ჩხორულაშვილი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 18 იანვრის № 15 მოთავსებულ დებულებაში „საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შესახებ." „მუხლი მეოთხე, პუნქტი „თ" სწერია: „სამეურნეო" უნდა იყოს: სამეურვეო.

მუხ. 12 სწერია: „ყოველ დღიურად" უნდა იყოს: ყოველ თვიურად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ცეკას საარიცხვო-განაწილებითი განყოფილება აცხადებს დაკარგულ მთლიან პარტბილეთს, № 494542, გაუქმებულათ.

ცეკას აღრ.-სტატ. განყ. გამგე ა. ლიცინოვი.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო 23 იანვარს, დღის 2 საათზე, იწვევს უჯრედის არა ჩვეულებრივ კრებას, მუშფაკის შენობაში. საკითხების ფრიად მნიშვნელობის გამო. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი დ. თხილავა.

— ტფილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების უჯრედების საერთო კრებები ამიერიდან დაიწყება არა 8, არამედ საღამოს 6 საათიდან.

ისინი ვინც დაიგვიანებენ ნახევარი საათით, არ იქნებიან გატარებული რეგისტრაციაში.

ამ უჯრედების უკანასკნელ გაერთიანებულ კრების დადგენილების თანახმად, ორივე უჯრედების წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომში ამხ. სვერდლოვთან (ყოველდღე 9 საათიდან 3 საათამდე) თემის ამოსარჩევათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მორიგ ამოცანების საკითხის შესახებ

საინჟ. ფაკულტ. უჯრედის მდივანი სვერდლოვი.
სასოფ.-სამეურ. ფაკულტ. უჯრ. მდივანი ხახაროვი.

— ს. კ. პ. ტ. ო. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომში (ყოფილი საბჭოს დარბაზი) მოწვეულია

გაფართოებული პლენუმი

რაიკომისა, უჯრედების ბიუროს მდივნებთან და წევრებთან ერთად

დღის წესრიგი: 1. ანგარიში რაიკომის მუშაობისა.
2. ახალ რაიკომის კანდიდატების დასახელება.

რადგანაც განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— სამშაბათს, 22 იანვარს, არავითარი მეცადინეობა არ იქნება პოლიტსკოლებში. რაიონის პარტსკოლებში და არსენალის რაიკომის ტექნიკური ცოდნის სკოლებში.

საჭიროა დასწრება შემდეგი ამხანაგებისა: ბარხუდაროვის, პრეობრაჟენსკის, მიხაილოვაიასი, აზარიანცისა, ტატიაურისა, გალუსტოვისა, მურაბოვისა, ლავრენტიევისა, აბულაძისა და ნაზაროვისა.

არსენალის ხაზზე კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— ოთხშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის ბინაზე დანიშნულია

საერთო კრება

ს. კ. პ. და კომ. ახალგ. კავშირის მე-3 უბნის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა. სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება.

ს. კ. პ. ტ. ო. მე-3 საუბნო კომიტეტის მდივნის მაგიერ ფირალოვი.
საქ. კომ. ახალ. კავშ. ტფ. ორგანიზაციის მე-3 საუბნო კომიტეტის მდივანი მოსკინი.

— სამშაბათს, 22 იანვარს, საღამოს 8 საათზე

ცენტრალურ პარტიულ კლუბში

დანიშნულია **9 იანვრის აღსანიშნავი საღამო.**

საღამოს პროგრამაში შედის: მოხსენება 9 იანვრის შესახებ, ინსცენიროვკა, დეკლამაცია და სიმღერა.

პარტიის ყველა წევრებისათვის შესვლა თავისუფალია.

ტ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის კომკავშირის ბიურო იწვევს 22 იანვარს უჯრედის კრებას უპარტიოთა დასწრებით, რომელზედაც 9 იანვრის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ფილიპე მახარაძე.

მდივანი

— **პარტიული კლუბის გამგეობა** კვირას, 30 იანვარს, საღამოს 9 საათზე, იწვევს პარტიულ კლუბში (კირკის ქ. მუშკოოპის ბინა) ქვემოხსენებულ ამხანაგებს, 9 იანვრის აღსანიშნავ საღამოს საორგანიზაციო თათბირზე: სურირინს, მედვედევს, კურნას, კუდრიაშს, მიხ. იურინს, სანდრო ეულს, ზომლეთელს, კილოსანიძეს, მოლჩანოვს, ლეინს.

პარტიული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე მ. ესსენი.

— [illegible] **საპროპაგანდო განყოფილება** მობილიზაციის წესით იწვევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც მოხსენებები უნდა გააკეთონ 22 იანვარს, მუშათა კლუბებში 9 იანვრის ამბების შესახებ.

ცხაკაია, მახარაძე, გოგობერიძე, რუბენი, ტაკუევი, მარია ორახელაშვილი, ტოროშელიძე, ვირძილი, ერქომაიშვილი, ტალახაძე, ა. ესსენი, მიქაძე, მამულაშვილი, პლოოსიანი, ვართანიანი, მარკარიანი ლეინი, ვოლი, ნასარიძე, ცინცაძე.

კრების მოწვევის დღისა და ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე
მ. ესსენი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე, მე-8 რაიონის განათლების მუშაკთათვის ამხ. გ. კონიაშვილის მოხსენება: „კომპლექსიური მეთოდი" (82 შრომის სკოლის შენობაში).

— პარასკევს, 25 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სომხურ ენის მასწავლებელთა წრის კრება—ამხ. ხარაზოვას მოხსენება: „გრამატიკა სკოლაში".

— შაბათს 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პროფესორ ჯანელიძის მოხსენება: კონტინენტის და ოკეანის წარმოშობა ვეგენერის თეორიის მიხედვით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე—შიუკაშვილი.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 24 იანვარს, საღამოს 7 საათზე, პოლიტგანათლებასთან არსებულ სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ალექსანდროვის ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა, მე-3 სართული) დანიშნულია სასკოლო სექციის კრება.

ამ კრებაზე პროფესორი გ. ნ. გეხტმანი წაიკითხავს მოხსენებას: „ეკონომიური გეოგრაფია და მისი სწავლების მეთოდები".

სასურველია დაესწრონ ამ კრებაზე ქ. ტფილისის ყველა მოზრდილთა სკოლების მასწავლებელნი.

განცხადებები

[illegible] ივანეს ასული, დიმიტრი, ვასილი, კოტე, ელენე, ვლადიმერი, ვარო, ალექსანდრა ივანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას 21 იანვარს, საყვარელ ქმრის და მამის

ვასილი დიმიტრის ძე კილოსანიძის

გამოსვენება, ოთხშაბათს 23 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე (საპიორის ქ. № 26) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. 434 1—1

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: გიორგი ლუკას ძე და ეკატერინე გიორგის ასული შვილებით: ნინა, ლუკა, ბაბო, თამარი, პეტრე, ფეფო და რუსუდან ბაქრაძეები, რძლები ელენე ივანის ასული, ქეთევან კონსტანტინეს ასული ბაქრაძეები, სიძეები: ნიკო ყრუაშვილი, გერასიმე კვაჭაძე, გიორგი ჩიჩუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი—შვილის, ხოლო დანარჩენი ძვირფასი დის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტის

მარო გიორგის ასულის ბაქრაძის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ალექსანდრეს საავადმყოფოდან 22 იანვარს, სამშაბათს, დღის 12 ს. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე იმავე დღეს ბინაზე (არაგვის ქ. № 5), ხოლო დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 ს. 438 1—1

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან

სამშაბათს, 22 იანვარს, მოწვეულია ტფილისში ა. კ. საბჭ. რესპ. ფედერაციის სახელმწიფო დაწესებულებათა, სამეურნეო ორგანოების, კოოპერაციების, საკრედიტო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების

სავალიუტო-საკრედიტო თათბირი

აქტუალურ მნიშვნელობის საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხებიან ფულის ტრიალს, კრედიტს და ვაჭრობას.

სხდომა გაიმართება სახაზინოში.

ცნობების, პროგრამების და სხვა ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოში, იქვე წარმომადგენლები უნდა გატარდნენ რეგისტრაციაში და მიიღონ შესასვლელი ბილეთები.

ა. კ. საბჭ. რესპ. ფედ. ფინანსთა სახ. კომისარი დ. ბუხიანოვი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

20 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):
სოხუმში... 6 გრ., ფოთში... 8 გრ., ბათომში... 11 გრ., სამტრედიაში... [illegible] გრ., ქუთაისში... 8 გრ., შიათურაში... 3 გრად., ბორჯომში... [illegible] გრ., სურამში.. 2 გრად., მუხრანში... 4 გრად., ტფილისში... 2 გრ., ერევანში... 3 გრ., ბაქოში... 5 გრ. აჯამეთიდან მუკუზანიდან (ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: სოხუმში და ბაქოში უმნიშვნელო; მუხრანში—ძლიერ დიდი; დანარჩენებში— სრული.

ქარის ძალა: ფოთში—აღმოსავლეთის, ზომიერი; ბათომში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი. ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ნელი.

ნალექი: არსად არ ყოფილა.

ზღვის ზედაპირი [illegible] ფოთში და ბათომში, სოხუმში, ბაქოში—მსუბუქი ღელვა. [illegible]

ამინდი საქართველოში.

[illegible] რალე, ყინვები აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩრდილოეთ კავკასია.

20 იანვარი, დილის 7 საათი.

კაზბეგი. ტემპერატურა:—7 მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 0 მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-დასავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

21 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 3 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ტფილისის საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებზე მუდმივ

მანდატების (წიგნების) დარიგება

სწარმოებს ყოველ დღე ა. წ. 25 იანვრამდე, დილის 9—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ.

საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს ვთხოვთ აღნიშნულ რიცხვამდე შემოიარონ აღმასკომის სამდივნოში წიგნაკების მისაღებათ, ვინაიდან იანვრის შემდეგ გაცემა შეწყდება.

ნის. 853 2—2 **პრეზიდიუმი.**

საჭარის საცდელ სადგურთან არსებული მევენახეობა-მეღვინეობის საპრაქტიკო სკოლაში

მოწაფეების მიღება მოხდება 1 აპრილს.

პირობები: ასაკი—არა ნაკლები 15 წლისა, ტანმრთელი, წერა-კითხვის მცოდნე.

მოწაფეებს ეძლევათ ხარჯი, ტანთსაცმელ ფეხსაცმელი და სასწავლო ნივთები **უფასოდ.**

მისამართი: ქ. ზესტაფონი. საჭარის საცდელ სადგური. საჭარის დელი სადგურის გამგე. 430 1—

საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციო კომისია

აცხადებს, რომ ყოველგვარი პრეტენზიები დაწესებულებათა თუ კერძო პირთა ყოფილ სასურსათო კომისარიატის მიმართ მიიღება მხოლოდ დღის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ე. ი. ამ წ. 30 იანვრამდე.

428—3—2 **სალიკვიდაციო კომისია.**

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

გამეორებით აძლევს წინადადებას ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებსაც შეფობა აქვთ ნაკისრი ჯარის ნაწილებზე, სოფლებზე, საბავშვო სახლებზე თუ სხვ., რათა ერთი კვირის განმავლობაში გატარდნენ რეგისტრაციაში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (გრიბოედოვის ქ. № 19)

იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, რომლებიც თავის დროზე არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ცნობებს, პასუხს აგებენ იმისათვის.

ნის. 848—5—5 ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის მაგიერ [illegible]

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველ დღე 1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოთ. 25—

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვეზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 308—25—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაახლოვებელი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—2

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსთან

სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

არლუთინსკი-დოლგორუკოვი ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 იანვარს 12 საათზე დილით მის მიერ იქნება საჯარო ვაჭრობით გაყიდული მოძრავი ქონება გარდაცვალებულ იოსებ თედორაშვილისა, რომელიც იმყოფება თათრის მოედანზედ № 8 და შედგება მიკიტნის დუქნის მოწყობილობისაგან [illegible] გრიგურიოვის დასაკმაყოფილებლად თანახმად ტფილისის [illegible] სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა ა. წ. 12 იანვრის თარიღით № 87.

აღნიშნული საქონელი გასასყიდათ დაფასებულია 145 ჩერვონეც მანეთი, რომლიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა აღნიშნულ მისამართზედ. საქონელი შეიძლება ინახოს გაყიდვის დღეს. 436 1—1

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე

(მუხრანის ქ. № 4) იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულს ხორენ ხაჩატუროვს ძე მირზოიანცს როგორც მოპასუხეს მისი ცოლის სუსანა ადამის ასული მირზოიანცის ჩივრის გამო მასთან განქორწინების შესახებ.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს). 433 1—1

დაკარგა პარტიული ბილეთი № 5909 შოთა იაგორის-ძე არომძის სახელზე და ორი ორდერი №№ 1487—1500 (მანუფაქტურის მისაღებად მუშკოოპიდან) ბაქრაძის და რობაქიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 439 1—1

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 43265 | 26213, პირადობის მოწმობა № 342 და სააღრიცხვო ბილეთი № 1538, მემანქანის თანაშემწე მამასახლისოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 437 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სოფ. [illegible] და სახლის წიგნი, მე-11 კომისარიატში განაპირა ქუჩაზე [illegible] თომა გიორგის ძე მაისაშვილის სახლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 435 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 57 და აღრიცხვის ფურცელი № 109 ჰაიკ გასპარის ძე ბაგდასარიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 432 1—1

დაკარგა მეტრიკული აღმოწერილობა, მიღებული ტფილისის [illegible] ხოდალური კანტორიდან 1911 წელს № 409 ჩაითვალოს გაუქმებულად. მოსე ხუხუნაიშვილი. 429 1—1

დაკარგა პროფკავშირის საწევრო ბილეთი, დაზღვევის ფურცელი, შრომის ბირჟის წიგნაკი, პასპორტი, სარეგისტრაციო ბარათი და საანგარიშო წიგნაკი გიორგი გოგოლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 431 1—1